# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
17 ივნისი ორშაბათი 2013
№140 (14 056) ფასი 80 თეთრი



41!
ეროვნული ბიბლიოთეკა


# მანეჟს
საქართველოს, იტალიასა და სლოვენიას თურქეთი დაემატა



12

# ლევან პარმელი
მჭედლიძე პარმამ გამოისყიდა, მაგრამ ერთ სეზონს ისევ ემპოლიში ითამაშებს




2

# ნეიმარი ერთი, პირლო ორი...
ბრაზილიაში კონფედერაციათა თასი გახურდა



8-9

# როგორც დიდებში: ესპანეთი VS იტალია



8

# თბილისის თასი სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტს
ბორჯღალოსნები მესამე ადგილს დასჯერდნენ




# ზაგრებში, სამი მუშკეტერით
ევროპის ჩემპიონატი ფარიკაობაში



11

● სავარაუდო ტრანსფერი



ლევან მჭედლიძე

# ლევან მჭედლიძე პარმას ფეხბურთელია!

ძალიან კარგი და სასიამოვნო ამბავი – სერია A-ს კლუბში ქართველი ისევ ჩაირიცხა. „პარმასთან" ხელშეკრულება **ლევან მჭედლიძემ** გააფორმა. იტალიური გამოცემების ცნობით, სერია A-ს კლუბი ქართველი ლეგიონერის ტრანსფერის მფლობელ „ემპოლის" 1,5 მილიონ ევროდ შეუთანხმდა.

მაგრამ შეთანხმების თანახმად, 23 წლის ქართველი თავდამსხმელი "პარმაში" მხოლოდ 2014 წლის ზაფხულიდან ითამაშებს. მანამდე კი ლევანი „ემპოლიში" კიდევ ერთ სეზონს გაატარებს. იტალიური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ასეთი შეთანხმების მოტივი ისაა, რომ ქართველს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს და ზრდა არ შეაჩეროს.

დასრულებულ სეზონში, რობერტო დონადონის "პარმამ" სერია A-ში მე-10 ადგილი დაიკავა, ხოლო "ემპოლის" იტალიური ფეხბურთის ელიტაში გადასასვლელი შეხვედრა "ლივორნოს" ვერ მოუგო (1:1, 0:1).

ლევანს 18 წლისას სერია A-ში უკვე უთამაშია და „პალერმოს" ფორმით ჯან-ლუიჯი ბუფონს გოლიც გაუტანა.

**მერაბ მამულაშვილი**

● სიტუაცია

# ვინ დაეხმარება ონიანს?

## ტრავმა რომ მივიღე, ტორპედოს საქმეს ვაკეთებდი...

## რა არის კაცობრიობის უმთავრესი მონაპოვარი?

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ კითხვაზე სწორ პასუხს ზოგი ქართველი პოლიტიკოსიც ვერ გაგცემთ. ამ კითხვაზე სწორი პასუხი ყველას რომ ჰქონდეს, ალბათ ცოტათი მაინც უკეთესი ქვეყანა გვექნებოდა.

**გიორგი ონიანის** ამბავი გემახსოვრებათ. წინა სეზონში, საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების მეოთხედფინალში ბოლნისის „სიონთან" საპასუხო მატჩის მინურულს ქუთაისის „ტორპედოს" მცველი მავთულღობის ბოძს შეეჯახა და მძიმე ტრავმა მიიღო - კისრის ერთი მალა ამოუვარდა, მეორე კი მოტყდა. ონიანის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა - ფეხბურთელს ოპერაცია გაუკეთეს და გადარჩა.

„ლელო" დახლოებით ორი კვირის წინათ შეეხმიანა ონიანს.


გიორგი ონიანმა მძიმე ტრავმა ტორპედოში თამაშისას მიიღო

მაშინ მან გვითხრა, ვარჯიშს სავარაუდოდ შემოდგომაზე დავიწყებო.

გუშინ ხელმეორედ მოვიკითხეთ ონიანი, რომელსაც „ტორპედომ" კონტრაქტის გაგრძელება არ შესთავაზა და შესაბამისად თავისუფალი აგენტია.

„უკეთესად ვარ, ფიქსატორი რა ხანია მომხსნეს, თუმცა ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ მეთქმის. მოძრაობის დროს ტკივილი ისევ მაწუხებს, შეხორცებას კიდევ მოუნდება გარკვეული დრო. სარეაბილიტაციო პროცესი აუცილებლად დამჭირდება. ჩემი ბიძაშვილი გერმანიაში ქირურგია და ის დამაკვალიანებს. ცხადია, რეაბილიტაცია ხარჯებთან არის დაკავშირებული. საქართველოში ასეთი სარეაბილიტაციო ცენტრი არ არის და ყველა ვარიანტში უცხოეთში მომიწევს წასვლა. „ტორპედოსთან" კონტრაქტი დამიმთავრდა და კლუბი ვალდებული ალბათ არ არის, სარეაბილიტაციო კურსი რომ დამიფინანსოს, მაგრამ, ადამიანური თვალსაზრისით, ამ მხრივ უნდა დამეხმაროს. კლუბს ამის ინიციატივა არ გამოუჩენია, ჯერ არც მე მიმიმართავს „ტორპედოსთვის". ეს ტრავმა რომ მივიღე, „ტორპედოს" საქმეს ვაკეთებდი. ამ ამბავთან დაკავშირებით კლუბის პრეზიდენტს ჩემთვის არ დაურეკავს, კლუბის დირექტორი გოგა პაპიაშვილი მეხმიანებოდა. საავადმყოფოში მოვიდა ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი რევაზ არველაძე, მოგვიანებით მან ტელეფონითაც მომიკითხა. ოპერაცია სახელმწიფოს ხარჯებით გამიკეთეს, რადგან ეს გადაუდებელი დახმარება გახლდათ. ამ ოპერაციის ხარჯების დასაფარად კლუბიც მზად იყო. ვითამაშებ თუ არა ფეხბურთს, ამის გარანტიას ჯერ ვერავინ მაძლევს, სარეაბილიტაციო პროცესი კი ყველა ვარიანტში დამჭირდება" - გვითხრა ონიანმა.

ფეხბურთელმა ამ მცირე ინტერვიუში ადამიანური თვალსაზრისიც ახსენა, რაც იმ კითხვის პასუხია, თავში რომ დავსვით - კაცობრიობის მთავარი მონაპოვარი ადამიანია.

თუ ჯანმრთელობამ ხელი შეუწყო, ონიანი ისევ ითამაშებს ფეხბურთს, რადგან ეს საქმე კარგად იცის, ჯერ მხოლოდ 29 წლისაა და ფორმის აღდგენა არ უნდა გაუჭირდეს.

გიორგი თბილისის „ლოკომოტივიდან" გაგვეცნო, სადაც 2002-05 წლებში თამაშობდა. შემდეგ რამდენიმე ქართული გუნდი გამოიცვალა, 2008 წელს მეორე ბუნდესლიგის „კარლ ცაისში" 13 მატჩი ითამაშა, გუნდის საკვანძო ფეხბურთელი გახდა.

გახსოვთ **სანდრო იაშვილი?** ფეხები ზამბარასავით რომ ჰქონდა და ისე მაღლა ხტებოდა, საჰაერო ორთაბრძოლას ვერც ერთი აქაური მცველი ვერ უგებდა, თუმცა იყო გამონაკლისიც - სწორი პოზიციის შერჩევის ხარჯზე იაშვილის ამოკეტვა მხოლოდ გიორგი ონიანს შეეძლო.

ონიანი უნივერსალური მცველია, დაცვის ცენტრის გარდა მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია თამაში. „ტორპედოში" მისვლამდე გორის „დილას" და „ზესტაფონის" ფეხბურთელი გახლდათ, ევროსარბიელზეც არაერთხელ უთამაშია.

ონიანის რეაბილიტაცია ღირსების საქმეა, ის სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. იმ სტადიონზე თამაში რომ არ შეიძლება, სადაც უსაფრთხოების ზომები ბოლომდე დაცული არ არის, ამაზე პასუხისმგებლობა არავის არ აუღია. ვერც იმას მოითხოვს ვინმე, ონიანის სარეაბილიტაციო კურსი დააფინანსონ. მაშ, როგორ არის ჩვენთან დაცული ადამიანი? მხოლოდ იმით, რომ სახელმწიფო გადაუდებელ ოპერაციას აფინანსებს?..

ონაინის ამბავს, წესითა და რიგით, რამე უნდა შეეცვალა ამ მხრივ. ვნახოთ, იქნებ ოდნავ უფრო ფასეული მაინც გახდეს ადამიანი საფეხბურთო მილეთში მაინც.

**დავით თავართქილაძე**

● შეხვედრა წარსულთან

# ქართულ-სომხური დაპირისპირებები

## გამორჩეული დამოკიდებულება

ათი წელიწადია თბილისის „დინამოს" ასეთი წარმატებული სეზონი არ ჰქონია: ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც! თუმცა, წინ ხომ ევროტურნირებია: 24 ივნისის წილისყრაზე შევიტყობთ, თუ ვინ იქნება ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს" მეტოქე. ახალი სეზონისათვის მზადება უკვე დაწყებულია, ორ დღეში კი გუნდი ავსტრიულ შეკრებაზე მიემგზავრება, სადაც ოთხი საკონტროლო მატჩია დაგეგმილი ერთი-მეორეზე ძლიერ მოწინააღმდეგეებთან (კიევის „დინამო", დონეცკის „შახტარი", რუმინული „კლუჟი", რუსული „კრასნოდარი"). ავსტრიაში პირველი საკონტროლო მატჩი „დინამოს" 20 ივნისს აქვს დაგეგმილი, თუმცა ახალი, 2013-14 წლების საფეხბურთო სეზონს ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბი დღეს გახსნის სომხეთის ჩემპიონთან, გიუმრის „შირაქთან" ამხანაგური შეხვედრით. იმედი დავიტოვოთ, რომ საქართველოსა და სომხეთის ჩემპიონების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გულშემატკივართა დიდ ინტერესს გამოიწვევს და აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ეს შეხვედრა „დინამო-არენაზე" 18 საათზე დაიწყება, ბილეთის ფასი კი 2 ლარი იქნება. რა თქმა უნდა, ასეთი შინაარსის მატჩებში შედეგი მეორეხარისხოვანია, თუმცა ქართულ-სომხური გუნდების დაპირისპირება, ტრადიციულად, მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. ასე იყო საკავშირო ჩემპიონატის დროსაც, არანაკლებ პრინციპული ხასიათი ჰქონდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (როცა ქართულ-სომხური გუნდები ევროტურნირებზე ხვდებოდნენ ერთმანეთს), იგივეს თქმა შეიძლება სანაკრებო დონეზე ჩატარებულ მატჩებზეც და, ალბათ, ამ მხრივ, არც დღევანდელი ამხანაგური შეხვედრა იქნება გამონაკლისი...


1997 წლის 30 მარტი. საქართველო-სომხეთი 7:0. შოთა არველაძემ ჰეთ თრიკი შეასრულა

### პრინციპული მეტოქეობა და მეგობრობა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების დროს თბილისის „დინამოსა" და სომხეთის ფეხბურთის ფლაგმანის, ერევნის „არარატის" დაპირისპირებები გამორჩეულად პრინციპულ ხასიათს ატარებდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, მატჩი სად ტარდებოდა (თბილისსა თუ ერევანში), არც იმას, კონკრეტული მომენტისათვის მეტოქეებს რომელი ადგილი ეკავათ: „დინამოსა" და „არარატის" პაექრობები მუდამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს უშელავათო ბრძოლა თუ ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებული „მიდგომა" მხოლოდ 90 წუთს გრძელდებოდა; ანუ, მატჩი დამთავრდებოდა თუ არა, „დინამოსა" და „არარატის" ფეხბურთელები ისევ მეგობრებად რჩებოდნენ; ანუ, მეგობრები იყვნენ მატჩამდე და მატჩის მერეც, აი, უშუალოდ შეხვედრის დროს კი ორივე გუნდის ფეხბურთელებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი გრძნობა ამოძრავებდათ: უპრინციპულესი მეტოქე დაემარცხებინათ! ანალოგიური განწყობა იყო გულშემატკივრებს შორისაც: თბილისში „არარატთან" ვერმოგებას ყოველთვის უდიდესი იმედგაცრუება მოჰყვებოდა-ხოლმე, ერევანში კი არც ერთ სხვა გუნდთან წაგებით არ ლიზიანდებოდნენ, როგორც თბილისის „დინამოსთან" დამარცხებით. კიდევ ვიმეორებთ, ეს „ქიშპობა" მხოლოდ და მხოლოდ საფეხბურთო მატჩის დროს იყო, თორემ რამდენიც გნებავთ იმდენი შემთხვევა ყოფილა, როცა ერევნელ ქომაგებს ტაშით გამოუცილებიათ „დინამოს" ფეხბურთელები, თბილისში კი — „არარატის" მოთამაშეებს არ მოჰკლებიათ სითბო და სიყვარული.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში „დინამომ" და „არარატმა" ერთმანეთში 58 მატჩი ჩაატარეს: აქედან 23 თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა, 16 შეხვედრა ერევნელებმა მოიგეს, 19 დაპირისპირება კი ფრედ დასრულდა. უპირატესობა გვაქვს ბურთების შეფარდებაშიც (75-62) და ტიტულებშიც: „დინამო" ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1964, 1978), „არარატი" — ერთხელ (1973). უფრო დიდია სხვაობა სხვა სინჯის მედლებში: „დინამო" ხუთჯერ გახდა ვერცხლის პრიზიორი, ცამეტჯერ კი ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა, მაშინ როცა „არარატი" მხოლოდ ორჯერ გავიდა მეორე ადგილზე.

რაც შეეხება საკავშირო თასის გათამაშებას, „დინამომ" და „არარატმა" ორ-ორჯერ შეძლეს ამ საპატიო პრიზის მოგება; თუმცა, დინამოელები კიდევ ექვსჯერ იყვნენ ფინალში, „არარატი" კი — ორჯერ. ისე, რახან სათასო დაპირისპირებები ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ თბილისის „დინამომ" ეს პრიზი პირველად 1976 წელს (მეექვსე ცდაზე) მოიპოვა და ფინალში... ერევნის „არარატი" დაამარცხა — 3:0 (გოლები: **დავით ყიფიანი, ფირუზ კანთელაძე, რევაზ ჩელებაძე**)

...საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში „დინამოსა" და „არარატს" შორის არაერთი გამორჩეული მატჩი ჩატარებულა; აი, თუნდაც ის შეხვედრა რად ღირს: 1965 წელს „დინამომ" ერევნის „არარატს" უმასპინძლა, 5:0 გაიმარჯვა და ხუთივე გოლი **ილია დათუნაშვილმა** გაიტანა! თუმცა, მტკივნეული წაგებებიც ყოფილა თბილისში: 1971 წელს, პირველ წრეში „დინამო" საკუთარ მოედანზე სასტიკად დამარცხდა „არარატთან" (0:4), თუმცა მეორე წრეში სტუმრად რევანში აიღო და **მანუჩარ მაჩაიძის** ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა. ის შეხვედრა, 1971 წლის 15 სექტემბერს რომ ჩატარდა, ერევნელთათვის განსაკუთრებული იყო: „რაზდანის" სტადიონის გახსნა უპრინციპულეს მეტოქესთან მატჩს დაამთხვიეს, მაგრამ დამარცხდნენ...

### ტაბილად გასახსენებელი

ქართული და სომხური კლუბები ევროტურნირებზეც შეხვედრიან ერთმანეთს და უპირატესობა აქაც ჩვენს მხარეს არის: ოთხ შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე ქართული კლუბები გავიდნენ, ორჯერ კი — სომხური. პირველი დაპირისპირება 1997 წელს შედგა, როცა თასების მფლობელთა თასის I საკვალიფიკაციო ეტაპზე ბათუმის „დინამო" ერევნის „არარატს" ხვდებოდა. პირველი შეხვედრა **შოთა ჭეიშვილის** დამოძღვრილმა „დინამომ" მოიგო (4:2), მაგრამ ბათუმელთა შემადგენლობაში დისკვალიფიცირებულმა ფეხბურთელმა (დავით სოლოღაშვილი) ითამაშა და წაგება ჩაგვეთვალა (0:3). საპასუხო შეხვედრაში ბათუმელებმა **როსტომ თორლაშვილისა** და **ივანე მახარაძის** გოლებით 2:0 კი მოიგეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ერთი წლის შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს" დებიუტი შედგა ევროტურნირებზე; „ინტერტოტოს თასის" I საკვალიფიკაციო ეტაპზე „ტორპედომ" საშინაო შეხვედრაში სომხური „ერებუნი" დიდი ანგარიშით (6:0) დაამარცხა: ბურთები გაიტანეს **გიორგი მეგრელაძემ** (2), **დავით ჯანაშიამ** (2), **ზაზა ვაჩიბერაძემ** და **კახა კვეტენაძემ**; საპასუხო მატჩი კი ფრედ (1:1) დამთავრდა და მომდევნო ეტაპზე „ტორპედო" გავიდა.

აი, 2005 წელს კი ჩვენთვის მოულოდნელი ამბავი მოხდა: უეფას თასის I საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივმა" გიორგი **ალავერდაშვილის, ლაშა ქებაძისა** და **გიორგი ონიანის** გოლებით სტუმრად 3:2 მოუგო ერევნის „ბანანცს", თუმცა, საპასუხო შეხვედრაში შინ 0:2 დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა, „ბანანცი" ერთი წლის მერე კვლავ გვესტუმრა: ევროტურნირების დებიუტანტ „ამერს" თბილისში 1:0 მოუგო, მაგრამ ერევანში უკვე ქართულმა გუნდმა იყოჩაღა და 2:1 (გოლები: **რატი წინამძღვრიშვილი, დენის დობროვოლსკი**) გაიმარჯვა. იმავე, 2006 წლის ზაფხულში კიდევ ერთი ქართულ-სომხური დაპირისპირება შედგა: „ინტერტოტოს თასზე" თბილისის „დინამომ" სტუმრადაც მოუგო „კილიკიას" (5:1) და საკუთარ მოედანზეც (3:0). აღსანიშნავია, რომ „კილიკიასთან" პირველ მატჩში „დუბლი" შეასრულა **ჯაბა დვალმა**, რომელიც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირია ევროტურნირებზე. ბოლო დაპირისპირება კი 2011 წელს შედგა და მეტოქედ კვლავაც „ბანანცი" გვყავდა: ევროპის ლიგის I საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „მეტალურგმა" **ირაკლი ქობალიას** ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად გაიმარჯვა, შინ კი ფრედ (1:1) ითამაშა და მასპინძელთაგან ის ბურთი თბილისის „დინამოს" პოტენციურმა ახალწვეულმა **გიორგი მიქაბერიძემ** გაიტანა.

აქვე, სანაკრებო დონეზე ჩატარებული მატჩებიც უნდა ვახსენოთ და, უპირველესად, გასახარი ამბავი ვთქვათ: სომხეთი ხომ იშვიათ მეტოქეთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთანაც ჩვენს ნაკრებს დადებითი ბალანსი გააჩნია! ჰო, აქამდე ჩატარებული ხუთი ამხანაგური მატჩიდან სამი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, ერთხელ დავმარცხდით და ერთხელაც ფრედ ვითამაშეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სულ პირველი სანაკრებო დაპირისპირება, 1997 წლის 30 მარტს რომ ჩატარდა: საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **დავით ყიფიანი** სადებიუტო მატჩს ატარებდა და ის შეხვედრა ჩვენებმა სარეკორდო ანგარიშით (7:0) მოიგეს. მართლაც ჩინებული სანახაობა ვნახეთ: **შოთა არველაძემ** „ჰეთ-თრიკი" შეასრულა, **არჩილ არველაძემ** — „დუბლი", თითო-თითო გოლი კი **გიორგი ქინქლაძემ** და **მიხეილ ყაველაშვილმა** გაიტანეს. სხვათა შორის, იმ მატჩის მონაწილე ორი ჩვენი ფეხბურთელი დღესაც აგრძელებს აქტიურ საფეხბურთო კარიერას: 39 წლის **ამირან მუჯირი** და 35 წლის **ლევან კობიაშვილი**...

### დღევანდელი მეტოქე

გიუმრის (ყოფილი — ლენინაკანის) შირაქი 1958 წელს არის დაარსებული და 1992 წლამდე რეგულარულად ასპარეზობდა ყოფილი საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგაში. იმდროინდელი მეორე ლიგა უმეტესწილად ტერიტორიული პრინციპით იყო დაკომპლექტებული და „შირაქსაც" ხშირად უწევდა ქართულ გუნდებთან (ლანჩხუთის „გურია", სამტრედიის „ლოკომოტივი", რუსთავის „მეტალურგი", ფოთის „კოლხეთი", გორის „დილა" და სხვები) პაექრობა. სხვა სომხური გუნდისგან (აბოვიანის „კოტაიკი") განსხვავებით, „შირაქმა" ვერც ერთხელ შეძლო საკავშირო პირველ ლიგაში აღზევება; რაც შეეხება საბჭოთა კავშირის თასს, ამ გათამაშებაში საუკეთესო შედეგი 1960 წელს ჰქონდა, როცა მეოთხედფინალამდე მიაღწია, მაგრამ იქ უკვე უშანსოდ იყო: თბილისის „დინამომ" 5:1 (გოლები: **ზაურ კალოევი — 4, შოთა იამანიძე**) დაამარცხა.

...სომხეთის ფეხბურთის დამოუკიდებლობის შემდეგ „შირაქი" ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ხუთჯერ მეორე ადგილზე გავიდა, ორჯერ — მესამეზე, ერთხელ სომხეთის თასი მოიპოვა, სამჯერ კი — ქვეყნის სუპერთასი. „შირაქი" ევროტურნირებზეც რეგულარულად ასპარეზობდა, მაგრამ პირველად მხოლოდ შარშან შეძლო ერთი ეტაპის დაძლევა. კლუბის პრეზიდენტი **არმან საჰაკიანი** გახლავთ, მთავარი მწვრთნელი - **ვარდან ბიჩახჩიანი.** გასულ, საჩემპიონო სეზონში „შირაქის" შემადგენლობაში რამდენიმე ლეგიონერი გამოირჩეოდა, ასევე გამოცდილი ადგილობრივი ფეხბურთელებიც: 35 წლის **ტიგრან დავთიანი,** 32 წლის **ანდრანიკ ბარიკიანი,** 32 წლის **კარენ ალექსანიანი.** საერთოდ კი, „შირაქის" შემადგენლობაში სხვადასხვა დროს ბევრ ცნობილ ფეხბურთელს უთამაშია: **არკადი ანდრიასიანი, ლევონ იშტოიანი, ოგანეს ზანაზანიანი, ალიოშა აბრამიანი, ჟორა ბარსეგიანი, სამველ ყასაბოღლიანი, არუთუნ ვარდანიანი, არა ადამიანი** და სხვები.

**გია ტუხაშვილი**






● სავარაუდო ტრანსფერი


გიორგი ბერიაშვილი

# ბერიაშვილი და დოლიძე დილაში?

გორის „დილა" დამდეგი სეზონისთვის მზადებას შეუდგა და გასულ უქმეებზე პირველი საკონტროლო შეხვედრაც გამართა. საგურამოს ბაზაზე საჩხერის „ჩიხურას" მეორე გუნდს ეთამაშა და 2:1 დაამარცხა.

„დილას" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ზუროშვილი, ი. ლომიძე, ბერუაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, ჯიშკარიანი, ლობე, დიასამიძე, წიქარიძე, მუშიაშვილი, გოგინაშვილი, სადალაშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ო. მაისურაძე, ოქროპირიძე,. ლ. ლომიძე, ჩხიკვაძე, კურმაშვილი.**

გორელთაგან ორივე გოლი **რომან გოგინაშვილმა** გაიტანა. ამ 29 წლის მარჯვენაფლანგელს წინა სეზონში თითქმის არ უწევდა თამაში და ვინძლო „დილას" ახლა მწვრთნელ **გიორგი დევდარიანს** მოაწონოს კიდეც თავი.

„ჩიხურას" მეორე გუნდთან არ უთამაშიათ „დილას" იმ ფეხბურთელებს, ვის კისერზეც გადაიარა წინა სეზონმა. ყველა მათგანს „დილასთან" კონტრაქტი დასრულებული აქვს და ახლა მიდის მოლაპარაკება ახალ პირობებზე. „დილას" ახლა სხვა დაფინანსება აქვს, ვიდრე შარშან ჰქონდა და ცხადია, იმავე პირობებს ალბათ ველარ შესთავაზებს ფეხბურთელებს. კლუბში იმედი აქვთ, რომ წინა სეზონის ბირთვი შენარჩუნებული იქნება.

„დილა" ახალი ფეხბურთელების დამატებასაც გეგმავს, მათ შორის ქუთაისის „ტორპედოს" ორი ყოფილი მოთამაშის - **გროგოლ დოლიძე** და **გიორგი ბერიაშვილი** შესაძლოა, დევდარიანის გუნდში ჩაირიცხონ.

30 წლის დოლიძე მარჯვენაფლანგელია, სწრაფი ფლანგური იერიშებით გოლის გატანაც ეხერხება და საგოლე გადაცემის შესრულებაც. წინა სეზონში მან ხუთი ბურთი გაიტანა და უამრავი საგოლე პასიც ჩამოარიგა.

2012-13 წლების სეზონი წარმატებული იყო ბერიაშვილისთვისაც. ამ 26 წლის თავდამსხმელმა ცხრა გოლი შეაგდო და ამის გარდა ძალიან სასარგებლოდ ირჯებოდა „ტორპედოსთვის" - ბურთის მოგდება, შემაგრება და გუნდის „ამოყვანა" ბერიაშვილს ჩინებულად ეხერხება.

დოლიძესა და ბერიაშვილს სხვა გუნდებიდანაც აქვთ შემოთავაზება და ჯერ გადაწყვეტილი არაფერია.

ამ კვირაში ბევრი რამ გაირკვევა „დილაში", როგორც ტრანსფერების, ასევე სხვა საკითხების მხრივ.

**დავით თავართქილაძე**

● ვიტ ჯორჯია

# ვიტელებმაც დაიწყეს

ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო თბილისის „ვიტ ჯორჯიამ". ადრე უკვე ვწერდით, რომ გუნდი დატოვეს მარჯვენაფლანგელმა **დავით ხურცილავამ** (24 წლის) და საყრდენმა ნახევარმცველმა **გურამ გურეშიძემ** (23 წლის). მათ კვალს გაუყვნენ 25 წლის ცენტრალური მცველი **ჯემალ გოგიაშვილიცა** და 24 წლის თავდამსხმელი **ლაშა გაბრიჭიძეც.**

„ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი დაუსრულდათ გუნდის ორ წამყვან ფეხბურთელს - 24 წლის ცენტრალურ ნახევარცმელ **გიორგი ვასაძეს** და 23 წლის გარემარბ **გიორგი კორიფაძეს.** როგორც შევიტყვეთ, ისინი ისევ „ვიტ ჯროჯიაში" ვარჯიშობენ, თუმცა დარჩებიან თუ არა „მცხეთა პარკზე", ჯერ უცნობია.

საქართველოს ორგზის ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია", რომელსაც საქართველოს თასიც მოუგია და სუპერთასიც, ბოლო დროს მოწინავეთა შორის არ არის. კლუბის ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ უნდა იყოს, თუმცა ელემენტარული პირობები „ვიტ ჯორჯიას" კვლავინდებურად აქვს და ალბათ ნორმალურადაც მოემზადება 2013/14 წლების სეზონისთვის.

**დავით თავართქილაძე**

● პირველი ლიგა

# გაგრა მოთამაშეებს შეელია

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, კულუარებში აქტიურად განიხილებოდა უმაღლეს ლიგაში გუნდების 16 ან 18-მდე გაზრდის თემა. მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, **ზვიად სიჭინავამ** ბოლო პრესკონფერენციაზე საკითხი დახურა – იქნება კვლავ 12 მონაწილე და გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებთო. ასევე ცნობილი გახდა, რომ პირველი ლიგა კვლავ "ა" და "ბ" ჯგუფებად დაიყოფა და მასში 12-12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ასე რომ, "გაგრასა" და პირველი ლიგის კიდევ რამდენიმე მონაწილის იმედები არ გამართლდა და გუნდი მომავალ სეზონშიც პირველ ლიგაში იასპარეზებს. როგორც ჩანს, სწორედ ამან გამოიწვია "გაგრაში" საკმაოდ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები – ხელმძღვანელობა გამოცდილ ხალხს შეელია და აქცენტი დუბლშემადგენლობის მოთამაშეებზე აილო.

"აღარ ვითანამშრომლებთ სოსო მალანიასთან, გიორგი მარგიანთან, თეიმურაზ ჯანაშიასთან, კოტე ზარნაძესთან, ვაჟა გაბესკირიასთან და დიმიტრი ლაშქარავასთან. კონტრაქტი შეუწყდა ალექსანდრე ივანიშვილს, ხოლო ტრანსფერზე დავაყენეთ კლუბთან მოქმედი კონტრაქტების მქონე მეკარე გიორგი ბეგაშვილი, მცველი ლაშა კალანდაძე, ნახევარმცველები ნიკა ჭკუასელი და გიორგი ერისთავი. ამ დროისთვის ახალწვეულები არ გვყავს, შემადგენლობაში კი "გაგრა-2"-სა და "გაგრა-3"-ის ფეხბურთელები დავაწინაურეთ - დობორჯგინიძე, მაგრაქველიძე, კაკუბავა. პირველ გუნდში ხშირად თამაშობდნენ ცაცკრიალაშვილი და მოსიაშვილი. გუნდში კიდევ რამდენიმე ახალწვეული გამოჩნდება. მათზე დიდ იმედებს ვამყარებთ" - თქვა კლუბის წარმომადგენელმა **მიხეილ აფხაზავამ.**

გუნდი 24 ივნისს "მერანის" სტადიონზე შეიკრიბება. 25 და 26 ივნისს ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და ვარჯიშს დაიწყებენ. თუმცა, ჯერაც უცნობია, "გაგრა" შეკრებას სად გაივლის.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# გელაშვილი ყარაბახის ფეხბურთელია

**ნიკა გელაშვილი** აზერბაიჯანული აგდამის "ყარაბახის" ფეხბურთელი გახდა. მოლაპარაკება, რომელიც მცირე ხნის წინათ დაიწყო, ჩვენმა მეზობლებმა უკვე დაასრულეს. წინასწარი შეთანხმება არსებობდა და თითქოს, მას წინ არაფერი ედგა, მაგრამ ბოლო მომენტში, გელაშვილმა აზერბაიჯანში თამაშზე უარი თქვა და შეთანხმება ჩაშლის პირას მივიდა. 14 ივნისს, გვიან საქართველოს ნაკრების თავდამსმელს აზერბაიჯანელები კიდევ ერთხელ დაუკავშირდნენ და მოსალაპარაკებლად ჩასვლა შესთავაზეს. შაბათს 27 წლის ქართველი ბაქოში გაემგზავრა და მას "ყარაბახმა" ისეთი პირობები შესთავაზა, უარი ველარ თქვა.

შევიტყვეთ, რომ გელაშვილმა 2-წლიანი კონტრაქტი 1+1 სისტემით გააფორმა. "ყარაბახი" აზერბაიჯანული ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერია - დასრულებულ სეზონში ვიცე-ჩემპიონი გახდა და გამარჯვებულ ბაქოს "ნეფთჩის" მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა.

შეგახსენებთ, რომ გელაშვილმა გერმანულ "ბოხუმში" ფეხი ვერ მოიკიდა. მის დათანხმებამდე "ყარაბახი" პოლონეთიდან "ლეგიას" თავდამსხმელის, **ლადო დვალიშვილის** ჩაყვანას ცდილობდა, მაგრამ უარი მიიღო.

ამჟამად გუნდი უეფას ევროპის ლიგის პირველი რაუნდისთვის თურქეთში ემზადება. წესით, გელაშვილი გუნდს დღეს უნდა შეუერთდეს.

**მერაბ მამულაშვილი**



ნიკა გელაშვილი

წარმოგიდგენთ 19-წლამდელებს

## გიორგი ფანცულაია:

# ვიცი, ეს მამას ჩემზე მეტად გაუხარდება

2010 წელს, კობა ჟორჟიკაშვილის განწრთნილი 17-წლამდელთა ნაკრები თბილისში გამართული შესარჩევი ციკლიდან ელიტ რაუნდში გაძვრა და ინგლისის, პოლონეთისა და შვედეთის გარემოცვაში თავი მშვენივრად წარმოაჩინა.

მაშინ შევიტყვეთ, რომ ცნობილ ფეხბურთელს, მამუკა ფანცულაიას თავდამსხმელი გიორგი ფანცულაია ეზრდებოდა. გიორგი მალე ქუთაისის "ტორპედოში" ათამაშდა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა, 19-წლამდელებში კი ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა: ელიტ რაუნდზე ორი გოლი გაიტანა (ინგლისთან და ბელგიასთან) და გუნდს ევროფინალში გასვლაში დაეხმარა.



### დოსიე

**გიორგი ფანცულაია**

დაიბადა 1994 წლის 1 იანვარს (19 წლის)
პოზიცია: თავდამსხმელი

**დებიუტი უეფას ტურნირებზე:**

ევროპის ლიგა. 05.07.12
ქუთაისის "ტორპედო" 1:1 "აქტობე"

**სანაკრებო კარიერა**

| | | |
|---|---|---|
| საქართველო U 19 | 4 | 2 |
| საქართველო U 17 | 5 | 0 |

დებიუტი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი (U 17) 23.10.10 საქართველო 1:0 შვედეთი

**კლუბი**

2011 - ქუთაისის "ტორპედო" 27 მატჩი, 4 გოლი

### წილისყრასა და ამბიციაზე

შემიძლია ვთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფები საკმაოდ კარგად გადანაწილდა. სხვადასხვა დროს, ტურნირის სამ მონაწილესთან გვითამაშია: სერბეთი, გასვლაზე რომ 1:0 მოვუგეთ, ძლიერი, შემტევი გუნდია, მაგრამ დავჯაბნეთ. მრავალი საგოლე მომენტის მიუხედავად, პორტუგალიასთან 0:2 წავაგეთ – მიმაჩნია, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტია. ფრანგების ამ თაობას 17-წლამდელების ელიტ რაუნდში შევხვდით და წავაგეთ. მაშინ ძალისმიერი ნაკრების შთაბეჭდილება დატოვა. წესით, იმ გუნდიდან ლიტვაში ბევრი მოთამაშე უნდა ჰყავდეთ. ვიცი, რომ თურქეთიც ძლიერია და შემტევ ფეხბურთს აჩვენებს.

წლები ისე გადიოდა, ქართველებს საკუთარი ძალების არ გვჯეროდა. ახლა კი ფიქრობენ, ჩვენი გუნდის წევრები ზედმეტად თავდაჯერებულები ხომ არ ვართ. ასე ნამდვილად არ არის. ბიჭები მოტივირებულები არიან და ჯანსაღი ამბიცია გვაქვს, რომ ევროპაზე ჩვენი საუკეთესო ფეხბურთი ვაჩვენოთ.

წინასწარ არავინ ვიცით, რა და როგორ მოხდება, მაგრამ ჩვენს ნაკრებს დიდი პოტენციალი გააჩნია. ჯგუფის სიძლიერის მიუხედავად, ყველაფერს გავაკეთებთ, ნახევარფინალში რომ გავიდეთ. მჯერა, გავალთ კიდეც.

### ბურთი არც მაინტერესებდა

7 წლამდე არც ვიცოდი, ფეხბურთი რა იყო და მამაჩემმა შემაყვარა. 2000 წელს 6 წლის ვიყავი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი („რეალი"-"ვალენსია") რომ მაყურებინა. რობერტო კარლოსი და მთლიანად, ფეხბურთი ძალიან მომეწონა და ინტერესი გამიჩნდა.

2001 წელს მამამ საფეხბურთო აკადემია "ოლიმპში" მიმიყვანა, სადაც თავად ორი წლით უფროსებში მუშაობდა – ჩემი პირველი მწვრთნელები ლევან და გურამ გვანცელაძეები იყვნენ. ამის შემდეგ ჩვენი გუნდი გია ცეცაძემ ჩაიბარა და ბოლომდე ის მავარჯიშებდა. სხვათა შორის, გიას 1994 წელს დაბადებულების ძალიან კარგი გუნდი ჰყავდა. ასე რომ, ჩვენს თაობას მშვენივრად იცნობს და მის მოთხოვნებს ჩვენც ვიცნობთ.

### ტიტულოვანი კრიტიკოსი

მამა ჩემით კმაყოფილი არასოდეს ყოფილა. არც მიკვირს. უნიჭიერესი ფეხბურთელი იყო და თბილისის "დინამოში" თამაშობდა. ერთი ხანობა, ლიდერობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლეებში, რომელიც მაღალი დონის ტურნირი იყო და ძლიერი გუნდები თამაშობდნენ. იყო ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი, მაგრამ 26 წლისამ კარიერა ნაადრევად დაასრულა.

ახლა კი საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" მწვრთნელია – საქართველოს ნაკრების წევრი თორნიკე ოქრიაშვილი მისი გაზრდილია.

მიხარია, რომ ფანცულაიების ოჯახია პირველი საქართველოში, რომლის ორი წარმომადგენელიც, მამაც და შვილიც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე ვიქნებით: 1985 წელს მამუკა ფანცულაია საბჭოთა კავშირის 18-წლამდელთა შემადგენლობაში, ალეკო კანტიძესთან, ზაზა რევიშვილთან და ვასილ მიქაშავიძესთან ერთად, ევროპის ჩემპიონი გახდა და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

### რეჟიმზე

მე თუ ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი, ეს მამუკას დიდი დამსახურებაა. ვიცი, მამამ დიდი ფეხბურთი რატომ ვერ ითამაშა და არ უნდა, მისი შეცდომები გავიმეორო. მირჩევს, ჩემსავით მცირედით არასოდეს დაკმაყოფილდე და სულ წინსვლაზე იფიქრეო.

19 წლის ვარ და ცხადია, გართობა მიყვარს, ეს აუცილებელიც არის. მაგრამ საამისოდ სეზონის შემდეგ ვიცლი. საერთოდ კი, რეჟიმის დაცვა, ვარჯიში და გართობაზე თავის შეკავება არ მიჭირს. უცხოურ შეკრებაზე მსიამოვნებს, მხოლოდ ფეხბურთზე რომ ვფიქრობ და გულით ვემზადები.

ამ კუთხით გამონაკლისი არ ვარ. ასე მგონია, სხვაგვარი თაობა მოვდივართ, უფრო მოტივირებულები, ამბიციურები და ალბათ, საქმეს უფრო პროფესიულად ვუდგებით. თორემ ვერ ვიტყვი, რომ ადრინდელებზე ნიჭიერები ვართ - მამას და შემდგომ თაობებში ძალიან მაგარი ფეხბურთელები იყვნენ.

### ის ურჩევნია მამულსა...

როგორ წარმომიდგენია ჩემი კარიერა ათის წლის შემდეგ? ნაკრებში რომ მოვხვდე და საქართველოს სიხარული მივანიჭო. ვიტყოდი, რომ საკლუბო დონეზე წარმატების მიღწევა მსურს-მეთქი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ეს არარეალური მეჩვენება. თუმცა, ძალიან კი გამიხარდება. უფრო რეალური მიზანია, ჯერ საქართველოში მოვიკიდო ფეხი და ჩემპიონის ტიტული მოვიპოვო. ამის შემდეგ უცხოეთში წასვლაც არ მაწყენდა. რაც უნდა იყოს, დღეს დიდ ფეხბურთზე გზა ევროპული კლუბების გავლით გადის.

ბევრჯერ მიფიქრია, მამა რა ნიჭიერი ყოფილა და რამდენს მიაღწია. მისი მიღწევების განმეორება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ მაინც ვოცნებობ. იქნებ, შევძლო და დიდ ფეხბურთში ადგილი დავიმკვიდრო. ვიცი, მამას ეს ჩემზე მეტად გაუხარდება.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ფანცულაია

ამბები

## სპარტაკი ლემონჯავამ დატოვა

ახალი სეზონისთვის ემზადება უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ცხინვალის „სპარტაკი". უკვე გაუწყეთ, რომ „სპარტაკმა" „დინამო თბილისიდან" იჯარით წაიყვანა 22 წლის შემტევი შუახაზელი **გიორგი თექთურმანიძე** და სპარტაკელთა დამრიგებელი **ვლადიმერ ხაჩიძე** კიდევ აპირებს რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას.

„სპარტაკი" მოლაპარაკებას აწარმოებს **ბესიკ ჩიმაკაძესთან** და **ვახტანგ ფანცხავასთან.** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 24 წლის ჩიმაკაძე ბოლოს „ბათუმში" თამაშობდა. აჭარული გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა და ჩიმაკაძის დარი კვალიფიციური თავდამსხმელი გუნდს იქ ნამდვილად ვერ ჩაყვებოდა.



ბესიკ ჩიმაკაძე

23 წლის ფანცხავაც ფორვარდია და საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია, ბოლოს პირველი ლიგაში, წყალტუბოს „სამგურალში" თამაშობდა, თერთმეტ მატჩში ცხრა გოლი გაიტანა.

როგორც ხაჩიძემ გვითხრა, ჩიმაკაძის და ფანცხავას ტრანსფერი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, „სპარტაკი" სხვა ფეხბურთელებითაც აპირებს გაძლიერებასო.

ამასობაში „სპარტაკი" დატოვა ერთმა ფეხბირთელმა - 22 წლის ნახევარმცველი **გიორგი ლემონჯავა** ხაჩიძის გუნდში აღარ ითამაშებს.

**დავით თავართქილაძე**

ბავშვთა ფეხბურთი



აჯილდოებს გიორგი ბოლქვაძის მამა ვაჟა ბოლქვაძე

## მასშტაბი ფართოვდება

თბილისის 67-ე საჯარო სკოლაში (სპორტის მასწავლებელი **გია ბოკუჩავა**) 2008 წლიდან ორ ასაკობრივ ჯგუფში ტარდება ტურნირი ამავე სკოლის მოსწავლის, „ავაზას" ფეხბურთელის გიორგი ბოლქვაძის ხსოვნის თასზე. სამჯერ გამარჯვებული ხდება თასის მუდმივი მფლობელი.

წლეულს ტურნირი კრწანისის რაიონის სკოლებს შორისაც ჩატარდა. (მონაწილეობდა 10 გუნდი) ფინალში 144-ე სკოლის ნაკრებმა აჯობა 67-ე სკოლელებს და თასიც დიპლომებთან ერთად მას გადაეცა. ცალკეულ ნომინაციებში დაჯილდოვდნენ გამორჩეული ფეხბურთელები.

სამომავლოდ ტურნირის მასშტაბის გაზრდაა განზრახული, რაც ხელს შეუწყობს პერსპექტიული მოზარდ ფეხბურთელთა გამოვლენას.

**„ლელოს" კორ.**

ამბები



## ვან პერსი ყველაზე პოპულარულია

როგორც ბრიტანეთის ბაზრის კვლევის შედეგად გაირკვა, ქვეყანაში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი **რობინ ვან პერსია**. „მირორის" ცნობით, რეალიზებული სპორტული მაისურების 25%-ზე მეტს ზურგზე სწორედ 29 წლის ჰოლანდიელის გვარი აწერია. მეორე ადგილზე გავიდა „ლივერპულის" კაპიტანი **სტივენ ჯერარდი** (8,2%), მესამეზე - უეინ რუნი (6%). სამეულს კვალში უდგანან შემდეგი ფეხბურთელები: **შინჯი კაგავა, ლუის სუარესი, ედენ აზარი, პოლ სქოულზი, ფერნანდო ტორესი, სერხიო აგუერო** და **ლუკას პოდოლსკი**.

## კიდევ ერთი ესპანელი

2012/13 წლების სეზონში „ლივერპულს" განაცხადში სამი ესპანელი (**პეპე რეინა, ხოსე ენრიკე, სუსო**) ჰყავდა. სატრანსფერო ფანჯარა სულ რაღაც 17 დღის გახსნილია, თუმცა მერსისაიდელებმა ერთი პირენეელი უკვე გადაიბირეს (**დიეგო ასპასი**) და ახლოს არიან მეორე გარიგებასთანაც. ლაპარაკია 20 წლის სევილიელ თავდამსხმელ **ლუის ალბერტოზე**. „წითლები" მზად არიან, 8 მილიონი ევრო გადაიხადონ და 2 მილიონის გადახდა ბონუსების სახით იკისრონ. როგორც ირკვევა, ლუისი ამ დღეებში ეწვევა „ენფილდს" და 4 ან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. პირველ ეტაპზე ესპანელს დუბლების ჩემპიონატში მოუწევს საკუთარი პოტენციალის ჩვენება.

## ბეშიქთაშიდან ჰალში

„ჰალ სიტი" „ბეშიქთაშს" შოტლანდიის ნაკრების მეკარის, 31 წლის **ალან მაკგრეგორის** ტრანსფერზე შეუთანხმდა. პრემიერლიგის ახალწვეულს გამოცდილი გოლკიპერი 2 მილიონი ევრო დაუჯდა. „ვეფხვების" თავკაცმა **სტივ ბრუსმა** თანამემამულემდე **კასპარ შმეიხელის** (ლესტერი), **დევიდ სტოკდეილისა** (ფულჰემი) და **კოსტას პანტილიმონის** გადაბირება სცადა, მაგრამ ზოგს ვერ შესწვდა, ზოგმა თავად თქვა უარი. 2012/13-ის სეზონის მეორე ნახევარში „ჰალის" ძირითადი კარის დარაჯი სტოკდეილი იყო, მაგრამ „ფულჰემი" კიდევ ერთ იჯარას არ დათანხმდა, კონტრაქტის გამოსასყიდი ფული კი „ჰალს" არ აღმოაჩნდა.

## არსენალი მზად არის

როგორც ჩანს, „არსენალის" ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განცხადებები, მზად ვართ, შემადგენლობის გასაძლიერებლად სერიოზული თანხები დავხარჯოთო, მარტო განცხადებების დონეზე არ დარჩება. Sky Sports-ის ცნობით, „მეთოფეები" მზად არიან, „რეალს" 25 წლის თავდამსხმელ **გონსალო იგუაინში** 25 მილიონი ფუნტი (29.42 მილიონი ევრო) გადაუხადონ. „სანტიაგო ბერნაბეუდან" არგენტინელის წასვლაზე ჯერ კიდევ სეზონის დასრულებამდე იწერებოდა, თუმცა ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნამდე საკითხის გადაწყვეტას არ უნდა ველოდეთ. ჩრდილოლონდონელთათვის სარეკორდო ტრანსფერად დღემდე 2009 წელს „ზენიტიდან" 15 მილიონ ფუნტად **ანდრეი არშავინის** შეძენა ითვლება.

ჩელსი

# მოურინიო და სნეიდერი ისევ ერთად?

„ჩელსიში" ამ ზაფხულს სერიოზული ცვლილებები იგეგმება. **ჟოზე მოურინიომ** ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეიძინა. ლაპარაკია „ლევერკუზენიდან" 22 მილიონ ევროდ გადაბირებულ **ანდრეა შიურლეზე**, თუმცა ეს რომ მხოლოდ დასაწყისია, ალბათ, ეჭვი არავის ეპარება. ცნობილია რამდენიმე ფეხბურთელი, ვინც „სტემფორდ ბრიჯს" დატოვებს. მათ შორის არის 26 წლის საყრდენი **ჯონ ობი მიკელი**. ნიგერიელმა „გალათასარაისთან" პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე შეათანხმა. გარიგებას წერტილი მას მერე დაესმება, როცა კლუბები საკომპენსაციო თანხაზე მორიგდებიან. მიკელს „ჩელსისთან" კონტრაქტი 2017 წლამდე აკავშირებს, ასე რომ, თურქები იაფად ნამდვილად ვერ გამოვლენ. დაცვითი ტიპის ცენტრალური ნახევარმცველებიდან მიკელის გარდა მოურინიოს განკარგულებაში რჩებიან: **ნათანიელ ჩალობა, ორიოლ რომეუ, ჯოშ მაკეხრანი, რამირესი** და **ფრენკ ლამპარდი**. ეჭვი გვაქვს, რომ პირველი სამეულიდან წასვლა ერთს მაინც მოუწევს.

ძველ-ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნის შემდეგ ინგლისური პრესა **ხუან მატას** წასვლაზეც ალაპარაკდა. 25 წლის ესპანელი პირველ ეტაპზე ხმას არ იღებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა შეკითხვებით შეაწუხეს, განაცხადა: *„ჩემთვის არავის უთქვამს, რომ მოურინიოს ჩემი ტრანსფერზე დაყენება აქვს განზრახული. მოხარული ვიქნები, თუკი მასთან მუშაობის შანსი მომეცემა. დასკვნებს კი იქამდე ვერ გავაკეთებ, ვიდრე პორტუგალიელს პირადად არ შევხვდები. მაისში სეზონის დასრულების შემდეგ ჩემით ყველა კმაყოფილი იყო. მეც ბედნიერი ვარ აქ ყოფნით, თანაც ჩემი კონტრაქტი კიდევ სამი წლით არის ძალაში"*.

„დეილი მირორი" „ჩელსის" **ვესლი სნეიდერით** დაინტერესებაზე წერს. მოურინიო 29 წლის ნახევარმცველს „ინტერში" წვრთნიდა. ჰოლანდიელი იმ „ნერაძურის" ლიდერი იყო, რომელმაც 2010 წელს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბაიერნი" დაამარცხა და რომელსაც სწორედ მოურინიო ედგა სათავეში. ვესლი იანვრიდან მოყოლებული „გალათასარაიში" თამაშობს, თუმცა მოწადინების შემთხვევაში ლონდონელებს, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ „ლომების" დაყოლიება. მთავარია, თავად ვესლი თუ მოინდომებს ინგლისში თამაშს.



ვესლი სნეიდერი

მანჩესტერ სიტი

# თავდასხმის მსხვერპლი

პარასკევს „მანჩესტერ სიტიმ" მთავარ მწვრთნელად **მანუელ პელეგრინის** დანიშვნის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ჩილელ სპეციალისტს „ქალაქელები" დიდ იმედებს უკავშირებენ. თუმცა სასიამოვნო ცნობა გუშინ დილას გავრცელებულმა სკანდალურმა ინფორმაციამ გადაფარა. კვირას „სიტის" ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ კლუბის სერვერი უცნობმა ჰაკერებმა გატეხეს, საიდანაც „სიტის" სკაუტთა მიერ ახალგაზრდა მოთამაშეებზე მოძიებული ინფორმაცია მოიპარეს.

სისხლის სამართლის საქმე „საწარმოო შპიონაჟის" მუხლით უკვე აღძრულია. იმედია, სამართალდამცავები მალე გაარკვევენ, თუ ვის დასჭირდა ამის გაკეთება, რადგან „სიტის" შემდეგ არც პრემიერლიგის სხვა კლუბები არიან დაცულნი მსგავსი შეტევებისგან. თუკი მოპარული ინფორმაცია ინტერნეტით გავრცელდა, ამის აღკვეთა კი პრაქტიკულად შეუძლებელია, მანჩესტერელებს სამომავლოდ დაგეგმილ სატრანსფერო საქმიანობაში ეს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

## სავარაუდო ტრანსფერები

ამ დღეებში ინტერნეტში „ქალაქელების" მიერ დაგეგმილი კიდევ ორი ტრანსფერის შესახებ გახდა ცნობილი. „არსენალის" შემდეგ „სიტი" მეორე ინგლისური კლუბი გახდა, ვინც **სტევან იოვეტიჩის** შეძენა მოისურვა. „ფიორენტინა" 23 წლის ჩერნოგორიელ თავდამსხმელს 30 მილიონ ევროდ აფასებს. „იები" იოვეტიჩის შეცვლას „ბაიერნიდან" **მარიო გომესის** გადაბირებით აპირებენ, თუმცა ჯერჯერობით „რეკორდმაისტერის" მიერ დასახელებული თანხის გადახდაზე თანხმობა არც ერთ კლუბს არ უთქვამს.

Football Italia წერს, რომ „სიტი" „ლაციოდან" 26 წლის მარცხენა მცველის **სტეფან რადუს** ყიდვას გეგმავს და მზადაა, მასში 15 მილიონ ევრომდე გადაიხადოს. **მანუელ პელეგრინის** უკვე ჰყავს ორი კარგი განაპირა მცველი – **გაელ კლიში** და **ალექსანდარ კოლაროვი**. ამ პოზიციის მოთამაშით დაინტერესება შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ჩილელი რომელიმეს გაშვებას გეგმავს. ეს უფრო კოლაროვი უნდა იყოს, ვისაც არაერთხელ უთქვამს საყვედური მწირი სათამაშო პრაქტიკის გამო. ისე, იმის თქმაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2010 წელს სერბი „სიტიმ" იმავე „ლაციოდან" შეიძინა.

„გალათასარაის" მიერ **ჯონ ობი მიკელის** შეძენის გეგმაზე ამავე გვერდზე უკვე მოგახსენეთ. „დეილი მეილი" სტამბულელებს **ჟოლეონ ლესკოტით** დაინტერესებასაც მიაწერს. 30 წლის ცენტრალურ მცველს ხელშეკრულება ერთ წელიწადში უმთავრდება, თუმცა მას თანამშრომლობის გაგრძელებას არავინ არ სთავაზობს. ვეტერანს თავადაც ურჩევნია, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ სეზონი ისეთ კლუბში გაატაროს, სადაც რეგულარული სათამაშო პრაქტიკა ექნება. არ გვგონია, „სიტიმ" მის გაყიდვაზე უარი თქვას.



შესაძლოა, „სიტი" ალექსანდარ კოლაროვს გამოეთხოვოს

ამბები

## ლიონიდან საუთჰემპტონში

„ლიონის" 23 წლის ხორვატმა ცენტრალურმა მცველმა **დეიან ლოვრენმა** „საუთჰემპტონთან" 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „წმინდანებმა" ფრანგულ კლუბს 10 მილიონი ევრო გადაუხადეს. *„საფრანგეთში 3,5 წელიწადი გავატარე, თუმცა ამ დროის განმავლობაშიც არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემი ნამდვილი ოცნება ინგლისის ჩემპიონატი იყო. „საუთჰემპტონის" ხელმძღვანელობას არაერთხელ ვესაუბრე პირადად. ისინი დაწვრილებით მიხსნიდნენ ყველაფერს. საბოლოოდ სწორედ მათმა ყურადღებამ მომხიბლა. კლუბის ისტორიას უკვე გავეცანი და ვამაყობ, რომ ამ გუნდში მომიწევს თამაში. კარგია, რომ შემადგენლობა საკმაოდ ახალგაზრდულია. ვიმედოვნებ, „სენტ მერიზე" დაუვიწყარ წლებს გავატარებ,"* – განაცხადა ლოვრენმა.

## კაბაი მონაკოში წავიდა

„ეკიპი" წერს, რომ „ნიუკასლის" 27 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **იოან კაბაიმ** უკვე შეათანხმა „მონაკოსთან" პირადი კონტრაქტის დეტალები და სამედიცინო შემოწმებაც იოლად გაიარა. ლიგა 2-დან ელიტაში დიდი ამბიციებით დაბრუნებული გუნდი საფრანგეთის ნაკრების წევრს სულ მალე ოფიციალურად წარადგენს. რამდენად შეელია ტაინსაიდური კლუბი ერთ-ერთ ლიდერს, ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით.

## ფიგეროა პრემიერლიგაში რჩება

მიუხედავად მონდომებისა, „უიგანმა" 2012/13 წლების შემადგენლობის შენარჩუნება ვერ მოახერხა. კონტრაქტები დაუმთავრდათ და ჯერჯერობით შემოთავაზებებს ელიან **რონი სტამი, რაიან უოტსონი, ალბერტ კრუსატი, ანტოლინ ალკარასი, ფრანკო დი სანტო**. თავისუფალი აგენტი იყო **მეინორ ფიგეროაც**, ვინც Sky Sports-ის ინფორმაციით, „ჰალ სიტისთან" აწარმოებს მოლაპარაკებას და დღეს თუ არა ხვალ კონტრაქტსაც გააფორმებს. „ვეფხვებს" **სტივ ბრუსი** წვრთნის. 2008 წელს „უიგანმა" სწორედ შოტლანდიელის ინიციატივით შეიძინა ჰონდურასელი უკანახაზელი.

## უილშირი შეკრებას არ დააკლდება

„არსენალის" 21 წლის ნახევარმცველმა **ჯეკ უილშირმა** ჯერ კიდევ სეზონის დასრულებამდე კოჭზე უმნიშვნელო ოპერაცია გაიკეთა. იყო შანსი, რომ ფეხბურთელს **არსენ ვენგერის** გუნდის პირველი შეკრება გამოეტოვებინა, თუმცა ახლა ირკვევა, რომ გამოჯანმრთელების პროცესი გრაფიკის მიხედვით მიდის, რაც იმას ნიშნავს, რომ უილშირი 4 ივლისს ბაზაზე გამოცხადდება და სრული დატვირთვით ვარჯიშს შეძლებს.

## სანდერლენდი პარკერით დაინტერესდა

„დეილი მირორის" ცნობით, „სანდერლენდი" „ტოტენჰემის" 32 წლის შუახაზელის **სკოტ პარკერის** სამსახურით დაინტერესდა. **პაოლო დი კანიო** მზადაა, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია მისცეს. ვეტერანი შარშან „ტოტენჰემის" სასტარტოს მხოლოდ მას მერე დაუბრუნდა, რაც მძიმე ტრავმა მიიღო მისმა ბრაზილიელმა კონკურენტმა **რანიერ სანდრომ**. პარკერს „დეზებთან" კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. მისი ტრანსფერი 4 მილიონ ფუნტად არის შეფასებული.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

მწვრთნელი

# ჰაინკესი: გერმანიის ნაკრების განვრთნის ამბიცია არ მაქვს!

## დონ იუპმა მწვრთნელად დაბრუნება თითქმის გამორიცხა

„ბაიერნის“ ან უკვე ექს-თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** რამდენიმე დღის წინ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც გამოაცხადა, მინიმუმ ერთი წელი დავისვენებ, მერე კი შეიძლება სადმე ვიმუშავოოო. „დონ იუპის“ განცხადება უფრო სამწვრთნელო კარიერის დამთავრების ნიშანი იყო, მაგრამ რაკი თქვა, სიტყვა „სამუდამოდ“ არ მიყვარსო, საფეხბურთო გერმანიაში მაშინვე სპეკულაციების ახალი ტალღა აგორდა - ჰაინკესი „რეალში“ იმიტომ არ მიდის, რომ გაისად გერმანიის ნაკრების ჩაბარება უნდაო. ასეთ ვარაუდს მართლაც ჰქონდა არსებობის უფლება, რადგან ამჟამინდელ ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი მართლაც სწორედ გაისად, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უმთავრდება, მაგრამ...



იუპ ჰაინკესს მწვრთნელის რანგში ალბათ ველარასოდეს ვიხილავთ

*„იმ პრესკონფერენციის შემდეგ ბევრი ითქვა და დაიწერა, ყველა თავისას ამბობს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემ მიერ გაკეთებულ განცხადებებში შესწორებები შევიტანო. სიტყვა „სამუდამო“ მართლაც არ მიყვარს, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ მწვრთნელად მუშაობას აღარ ვგეგმავ. მიმაჩნია, რომ ეს სეზონი ჩემი სამწვრთნელო კარიერის ღირსეულზე ღირსეული დასასრული იყო და მუშაობაზე აღარ ვფიქრობ,“* - განაცხადა 68 წლის ჰაინკესმა „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მისი ვრცელი ინტერვიუ „კიკერის“ დღევანდელ ნომერშიც გამოქვეყნდა, რომლის ანონსი ხსენებულმა გამოცემამ გუშინვე, ოფიციალურ ვებგვერდზე შემოგვთავაზა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ჰაინკესმა ინტერვიუში ასეთი განცხადება გააკეთა: *„ბევრმა იფიქრა ასე, მაგრამ ყველას ვუპასუხებ: არ მაქვს იმის ამბიცია, რომ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გავხდე.“*

### იუპი: გვარდიოლას წარმატებებს ვუსურვებ!

„კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ჰაინკესი „ბაიერნის“ მომავლისა და მისი შემცვლელის, **ხოსეპ გვარდიოლას** შესახებაც საუბრობს: *„ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა პეპის დათანხმებით სწორი, მეტიც, იდეალური გადაწყვეტილება მიიღეს. კლუბს ჩემი შემცვლელი რომ ვერ ეპოვნა, შესაძლოა, დავრჩენილიყავი, მაგრამ ასეთი დასასრულითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ფაქტია, რომ გვარდიოლაც კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან ვუტოვებ გუნდს, რომელიც იდეალურად ფუნქციონირებს. ვიცი, რომ ამ განცხადების გამო ერთხელ უკვე გამაკრიტიკეს, გვარდიოლას წნეხის ქვეშ აქცევსო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, სიმართლე ყოველთვის უნდა ითქვას. აბა, რომელი გუნდი სჯობია დღეს „ბაიერნს“? რეკორდმაისტერი იდეალური კოლექტივია! პეპ გვარდიოლას, რა თქმა უნდა, წარმატებებს და ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ, რადგან ის ჩემს გუნდს ჩაიბარებს. თუკი „ბაიერნი“ გაისადაც მოიგებს როგორც ბუნდესლიგას, ისე ჩემპიონთა ლიგას და გერმანიის თასს, უბედნიერესი ვიქნები. ასეთ შემთხვევაში ბიჭებს სათითაოდ ჩამოვურეკავ და წარმატებას მივულოცავ ზუსტად ისე, როგორც მე მომილოცეს ჩემმა ყოფილმა შეგირდებმა, სანსმა, რედონდომ და კარამბემ.“*

კითხვაზე, შეუძლია თუ არა ამ „ბაიერნს“ კლასიკური ცენტრფორვარდის გარეშე თამაში (გვარდიოლა „ბარსას“ სწორედ ასე ათამაშებდა), ჰაინკესი ასე პასუხობს: *„ყველაფერი წარმატებაზეა დამოკიდებული. მთავარია, როგორ შეასრულებენ ფეხბურთელები გვარდიოლას დავალებებს და რამდენად სწრაფად შესწავლადია ბაიერნელებისთვის ის სისტემა, რომელსაც პეპი „ბარსაში“ იყენებდა. ზოგადად, ყველაფერს დრო სჭირდება. მიუნხენურ გრანდს რობერტ ლევანდოვსკი რომ ეყიდა, პოლონელი აუცილებლად ითამაშებდა, რაც ავტომატურად გამორიცხავდა იმას, რომ „ბაიერნს“ კლასიკური ცენტრალური თავდამსხმელის გარეშე ეასპარეზა. დარწმუნებული ვარ, რომ თავისი ადგილისთვის მარიო მანჯუკიჩიც მედგრად იბრძოლებს.“*

### ხავი მარტინესი ჰაინკესის იდეა იყო

„შპიგელის“ ინტერვიუსაც დავუბრუნდეთ, რომელშიც ჰაინკესი რეკორდმაისტერის ესპანელ საყრდენ ნახევარმცველ **ხავი მარტინესზე** საუბრობს: *„დიდი ხანია, „ბაიერნს“ ასეთი წარმატებული და ასი პროცენტით სრულყოფილი ტრანსფერი არ განუხორციელებია. სხვათა შორის, მისი შეძენა ჩემი იდეა იყო და უნდა გენახათ, რამდენი დრო და ძალისხმევა დამჭირდა იმისათვის, რომ ხელმძღვანელები მარტინესის სანაცვლოდ 40 მილიონი ევროს გადახდაში დამერწმუნებინა. სხვათა შორის, თავიდან არც ისე კარგად თამაშობდა, მაგრამ მალევე მანუელ ნოიერი, ფილიპ ლამი და ბასტიან შვაინშტაიგერი ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს, მარტინესი იდეალური ფეხბურთელიაო, მერე კი ყველამ დაინახა, რომ ის მართლაც შესანიშნავი მოთამაშეა, რომლის სანაცვლოდ მართლა ღირდა 40 მილიონის გადახდა.“*

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი



რობერტ ლევანდოვსკის საგა გრძელდება

# ლევანდოვსკი სიტისაც უნდა!

## 235 000 ევრო კვირაში! როგორი ხელფასია?

**რობერტ ლევანდოვსკისთვის** გაჩაღებულ ბრძოლაში „მანჩესტერ სიტიც“ ჩაერთო – ბევრი ფულითა და იმ იმედით, რომ ოღონდ მიუნხენის „ბაიერნს“ არ დაუთმოს და დორტმუნდის „ბორუსია“ პოლონელ გოლეადორს მანჩესტერში სიამოვნებით გაუშვებს.

ბრიტანული ტაბლოიდი „სანი“ ამის შესახებ გუშინ წერდა. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, 24 წლის ლევანდოვსკი „სიტის“ ახალმა დამრიგებელმა **მანუელ პელეგრინიმ** მოითხოვა და მიუხედავად იმისა, რომ თავად პოლონელს „ბაიერნში“ გადასვლა უნდა, იმედი აქვს, რომ რობერტი ინგლისურ ვარიანტზე დაფიქრდება.

მანჩესტერელთა უმთავრესი არგუმენტი, რა თქმა უნდა, ფულია. „სანის“ ინფორმაციით, „სიტი“ ლევანდოვსკის ზღაპრულ ანაზღაურებას, კვირაში 235 000 ევროს სთავაზობს, რაც წელიწადში 12 მილიონი ევროა და იმას ნიშნავს, რომ რობერტი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდება. თუმცა „სანი“ იმასაც წერს, რომ პოლონელის გადაბირება მეორე მანჩესტერულ გრანდს, „იუნაიტედსაც“ უნდა. ფეხბურთელის კონტრაქტით გათვალისწინებული ფასი 30 მილიონი ევროა და ფაქტია, რომ ამ თანხის გადახდა პრობლემას არც „სიტისთვის“ წარმოადგენს და არც „იუნაიტედისთვის“.

**გოტფრიდ ლენცი**

ვერდერი

# ახალი შანსი არნაუტოვიჩსა და ელიას

„ვერდერის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **რობინ დუტმა** განაცხადა, რომ ჭირვეულ ფეხბურთელებს, **მარკო არნაუტოვიჩსა** და **ელჯერო ელიას** ახალ შანსს მისცემს. როგორც იცით, დუტის წინამორბედმა **თომას შააფმა** ავსტრიელი და ჰოლანდიელი ფეხბურთელები გასული სეზონის მიწურულს უდისციპლინობის გამო გუნდიდან მოკვეთა და სეზონი ისე დამთავრდა, არნაუტოვიჩი და ელია, რომლებიც საკმაოდ მაღალანაზღაურებადი მოთამაშეები არიან, ბრემენული კლუბის განაცხადში აღარ გამოჩენილან.

*„ვიცი, რომ ელია და არნაუტოვიჩი საკმაოდ ცელქები არიან, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მათ შეუძლიათ, გუნდს მოაგებინონ. ვფიქრობ, მათ მეორე შანსი უნდა მივცე და ასეც მოვიქცევი,“* - უთხრა 48 წლის დუტმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

რობინი გუნდის გაძლიერებაზეც ფიქრობს: *„მინიმუმ ორი ახალი ფეხბურთელი გვჭირდება – ერთი შემტევი და ერთი მცველი. შესაძლოა, აგვისტოში 2-3 ფეხბურთელი გავუშვათ და მათ ნაცვლად სხვები ვიყიდოთ.“*

**გოტფრიდ ლენცი**



მარკო არნაუტოვიჩი

ამბები

### ჟირარი ლილის მწვრთნელად დაინიშნა

**რუდი გარსიას** „რომაში“ წასვლიდან 3 დღის შემდეგ, „ლილის“ მთავარ მწვრთნელად **რენე ჟირარი** დაინიშნა. 59 წლის სპეციალისტმა, რომელმაც სეზონის დასრულების შემდეგ „მონპელიე“ დატოვა, შაბათს სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

*„ძალიან ბედნიერი ვარ. „ლილი“ საფრანგეთის ხუთ საუკეთესო გუნდში შედის და „მონპელიეს“ შემდეგ ამაზე უკეთეს წინადადებას ვერ მივიღებდი,“* - განაცხადა 59 წლის სპეციალისტმა პრეზენტაციაზე.

„მონპელიეს“ ყოფილი დამრიგებელი, რომელმაც სტუდენტური ქალაქის გუნდი 2012 წელს გააჩემპიონა, „ძალლების“ პრეზიდენტმა **მიშელ სეიდუმ** შეაქო:

*„მე ის პირველივე კონტაქტის შემდეგ მომეწონა, რადგან ჟირარი ინტელექტუალი გახლავთ და ჭკვიან ხალხს ახალ გარემოსთან ადაპტაცია უფრო უადვილდებათ, ვიდრე იმათ, ვინც ინტელექტის ნაკლებობას განიცდის“.*

### ალესანდრინის მარსელში სურს

„რენის“ ერთ-ერთ ლიდერს, რომელმაც თებერვალში ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და მას შემდეგ მკურნალობს, გუნდის დატოვება და „მარსელში“ გადასვლა სურს. „ოლიმპიკი“ 24 წლის ფეხბურთელით ჯერ კიდევ სექტემბერში დაინტერესდა, მაგრამ მაშინ „რენმა“ 1 მილიონ ევროზე უარი თქვა. იქიდან მოყოლებული, **ალესანდრინიმ** იმდენად კარგად ითამაშა, რომ ის **დიდიე დეშამმა** ნაკრებშიც კი გამოიძახა. მართალია, რომენს „სამფეროვანთა“ რიგებში არ უთამაშია, მაგრამ მისი პროგრესი თვალსაჩინოა და ფასიც გაიზარდა.

*„ძალიან მინდა, რომ შინ დავბრუნდე და კარიერა „მარსელში“ გავაგრძელო. მსურს, რომ ჩემს ოჯახთან და ახლობლებთან ახლოს ვიმყოფებოდე. „რენმა“ ბევრი რამ მომცა და კლუბს ნამდვილად არ დავუპირისპირდები, რადგან ასეთი ადამიანი არ ვარ, მაგრამ ეცადეთ გამიგოთ - „მარსელი“, კლუბი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, ჩემი შეძენით არის დაინტერესებული. ასეთ დროს უარის თქმა ძალიან რთულია, თანაც მე „ოლიმპიკს“ ბავშვობიდან ვქომაგობ,“* - განაცხადა ალესანდრინიმ.

როგორც მისი სიტყვებიდან შეიტყობდით, რომენი მარსელშია დაბადებული, თუმცა ამ ქალაქის გუნდში არასდროს უთამაშია. 2009/10 წლების სეზონი ალესანდრინიმ „გენგამში“ გაატარა, მომდევნო ორი სეზონი „კლერმონში“, 2012 წლის აგვისტოში კი ის „რენში“ ჩაირიცხა.

### ბერნარდით პორტუც დაინტერესდა

„ატლეტიკო მინეიროს“ ახალგაზრდა შემტევის შეძენა პორტუგალიურ გრანდსაც სურს. „პორტუს“ გარდა, **ბერნარდით** „ტოტენჰემი“ და დორტმუნდის „ბორუსია“ არიან დაინტერესებულნი. ბრაზილიური კლუბი თავის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელში, რომელიც კონფედერაციის თასზე მოასპარეზე ბრაზილიის ნაკრების განაცხადშია, 25 მილიონ ევროს ითხოვს.

ჟურნალისტების ცნობით, ეს თანხა „ბორუსიას“ და „პორტუს“ ეძვირათ, მაგრამ, როგორც ჩანს“ აკმაყოფილებს „ტოტენჰემს“. ბერნარდის აგენტი ინგლისში იმყოფება, მაგრამ „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა **ალეშანდრე კალილიმ** განაცხადა, რომ გუნდს ოფიციალური წინადადება არავისგან მიუღია.

რაც არ უნდა მოხდეს, ბერნარდი ლიბერტადორესის თასის დასრულებამდე არსად წავა. შეგახსენებთ, რომ „ატლეტიკო მინეირო“ ამ ტურნირის ნახევარფინალშია გასული, სადაც არგენტინულ „ნიუელს ოლდ ბოისს“ უნდა დაუპირისპირდეს.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა

# რა ლიგა, რის სკუდეტო...

## მთავარი ლაციოს დამარცხებაა

მას შემდეგ, რაც „რომას“ მფლობელი იტალიური წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენი ტომას დი ბენედეტო გახდა, კლუბში არაერთი „ეპოქა“ დაიწყო, თუმცა ყველა წარუმატებელი გამოდგა. ლუის ენრიკემ „ჯალოროსისგან“ ახალი „ბარსელონა“ ვერ შექმნა და ვერც ზდენეკ ზემანის ზე-შემტევი და ავანტიურული ფეხბურთი გამოდგა შედეგის მომტანი. შემდეგ იყო აურელიო ანდრეაცოლი, რომელმაც თავიდან თითქოს კარგად დაიწყო, მაგრამ საშუალოდ გააგრძელა და ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ დროებით მწვრთნელთან გრძელვადიანი ხელშეკრულება გაფორმებულიყო. და აი, რომაული კლუბის მესვეურებმა ახალ მწვრთნელად 47 წლის რუდი გარსია შეარჩიეს, რომელმაც ფრანგულ „ლილში“ მუშაობით გაითქვა სახელი. გარსია იტალიური სპორტული მედიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული - აქამდე, კომენტარების კეთებისგან თავს იკავებდა, გუშინ კი „რაი სპორტს“ ვრცლად ესაუბრა და მის ნააზრევს თემების მიხედვით გთავაზობთ.

### სერია A

ჩემი აზრით, მწვრთნელისთვის ყველაზე საინტერესო ტურნირია სერია A და ბედნიერი ვარ, რომ იტალიაში მუშაობის საშუალება მომეცემა. რომში გადმობარგებას საფუძვლიანად ვაპირებ და მსურს, მარადიულ ქალაქში წლების განმავლობაში დავრჩე. ამიტომ არის, რომ იტალიურ ენას გამალებით ვსწავლობ. მინდა ფეხბურთელებთან და ჟურნალისტებთან სწორედ იტალიურად ვიურთიერთო და ამის საშუალება მალე მომეცემა.

კალჩოში ტაქტიკურ სქემებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და ეს ყველაზე მეტად მხიბლავს. იტალიელი მწვრთნელები ყველაზე მოთხოვნადები არიან მსოფლიოში და ეს თვალნათლივ ჩანს. ინგლისის პრემიერლიგაში არაერთი აპენინელი მუშაობს და სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება. ამ ფონზე, იტალიური გუნდის სათავეში ყოფნა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.

### რომა

შემთხვევით არ მითქვამს, რომ მარადიულ ქალაქში წლების განმავლობაში ვაპირებ დარჩენას. „რომას“ მესვეურებს ამბიციური გეგმები აქვთ და ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდი პროექტის ნაწილი გავხდი. ჩვენ მსოფლიო ფეხბურთის გრანდი უნდა შევქმნათ, რომელიც არა მარო შიდა ასპარეზზე, საერთაშორისო სარბიელზეც იბრძოლებს უმაღლესი მიზნებისთვის.

ამასთან, კარგად ვიცი, რა სურთ ყველაზე მეტად „რომას“ გულშემატკივრებს. ჩემპიონთა ლიგის და სკუდეტოს მოგებაზე არ მაქვს ლაპარაკი - მათი ოცნება „ლაციოს“ დამარცხებაა და ამაში უკვე დავრწმუნდი. როდესაც რომის ქუჩებში გავისეირნე, უამრავი ადამიანი გამომელაპარაკა - მათ არც ლიგა უხსენებიათ და არც სკუდეტო, ყველა „ლაციოს“ მიწასთან გასწორებას მთხოვდა.

### ტრანსფერები

როგორც ვიცი, „უდინეზედან“ მაღალი კლასის მცველი დავიმატეთ (მეჰდი ბენატია) და ეს უკვე კარგია. „რომას“ რამდენიმე თამაშის ვიდეოჩანაწერს ვუყურე და უკანა ხაზში სერიოზული ხარვეზები დავინახე. ფაქტია, დაცვას გაძლიერება სჭირდება და ამ მიმართულებით, კიდევ გადავდგამთ ნაბიჯებს. ამასთან, მსურს, რომ სხვა რგოლებშიც თითო ექსტრაკლასის მოთამაშე დავიმატოთ, რაც გუნდს მკვეთრად გადაახალისებს. მთლიანობაში, შემადგენლობით კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, რომ ამ რესურსით, დიდი მიზნების მიღწევა შეიძლება. მინდა დავპირდე ტიფოზებს, რომ „რომა“ ყველა ფრონტზე ღირსეულად იბრძოლებს.

**ლაშა ნიკლაური**



რუდი გარსია რომში დარჩენას დიდხანს აპირებს

ლაციო

# მოლაპარაკება იწყება

## ლაციოს ლიდერი პსჟ-ს სურს

**ერნანესი** „ლაციოში“ 2010 წლის ზაფხულს გადავიდა და მას შემდეგ გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია. გასულ სეზონში, ლიდერობა იტვირთა და რომაული გუნდის წარმატებებში ლომის წილი დაიდო. 28 წლის შემტევი ამჟამად ბრაზილიაშია და კონფედერაციათა თასზე ასპარეზობს, მისი ბედი კი ევროპაში ირკვევა. ერნანესის გადაბირებით ფრანგული პსჟ დაინტერესდა, მოლაპარაკება კი უახლოეს დღეებში დაიწყება - ამის შესახებ რომეული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **იგლი ტარემ** განაცხადა:

„პარიზელებმა მოლაპარაკების დაწყება შემოგვთავაზეს, რაზეც თანხმობა ვუთხარით. მართალია, ერნანესი ტრანსფერზე არ დაგვიყენებია და ზოგადად, მისი შენარჩუნება გვსურს, მაგრამ მოლაპარაკებას წინ არაფერი უდგას. ბუნებრივია, ჩვენ ინტენსიური კავშირი გვექნება თავად ფეხბურთელთან და მას თითოეულ ნიუანსს გავაგებინებთ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩვენი თვითმიზანი ერნანესის გასხვისება არაა - უბრალოდ, პსჟ-ს დარ კლუბთან მოლაპარაკებაზე უარის თქმა, დიდი სისულელე იქნებოდა. მით უმეტეს, ფრანგულ გუნდში რამდენიმე ისეთი მოთამაშეა, რომელთა ხილვაც „ლაციოში“ გვსურს“.

ერნანესმა გასულ სეზონში 34 მატჩი ჩაატარა, 11 გოლი შეაგდო და 5 საგოლე პასი მიითვალა აქტივში. იტალიურ სპორტულ ჟურნალისტთა მტკიცებით, ფრანგები „ლაციოს“ მესვეურებს ბრაზილიელის სანაცვლოდ 30 მილიონ ევროს შესთავაზებენ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**ლაშა ნიკლაური**


ერნანესი

არგენტინის ნაკრები


ლეო მესი (მარცხნივ) და დიეგო მარადონა

# მესიმ მარადონას გადაასწრო

შაბათს არგენტინის ნაკრებმა გვატემალაში ამხანაგური მატჩი გამართა და დიდი ანგარიშით იმარჯვა. შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **ლიონელ მესიმ**, რომელმაც სამი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასი გააკეთა. საბოლოოდ, არგენტინამ 4:0 მოიგო, მესი კი მორიგი მიღწევის ავტორი გახდა - „ბარსელონას“ ლიდერს ნაკრებში 35 გოლი დაუგროვდა და ის **ერნან კრესპოსთან** ერთად, არგენტინის ეროვნული გუნდის ბომბარდირებში მეორე ადგილს იკავებს. გვატემალასთან შესრულებული ჰეთთრიქის წყალობით მესიმ **დიეგო მარადონა** ჩამოიტოვა და ახლა, მის წინ მხოლოდ **გაბრიელ ბატისტუტაა**, რომელმაც „ალბისელესტეს“ რიგებში 56 ბურთი გაიტანა.

„ლა პულგამ“ ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა, 36-ეზე კი **აუგუსტო ფერნანდესს** გაატანინა. „სელტას“ ნახევარმცველმა ნაკრებში თავისი პირველი ბურთი შეაგდო. ამის მერე, მესიმ ჯერ პენალტი გამოიყენა (მე-40) წუთზე, მეორე ტაიმის დებიუტში კი თავი მესამედ გამოიჩინა.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში **ალეხანდრო საბელიამ** თამაშის საშუალება მისცა **ერიკ ლამელას**, ვინც ეროვნულ გუნდში მხოლოდ მეორე შეხვედრა ჩაატარა.

აქვე, არგენტინის ნაკრების შემადგენლობას შემოგთავაზებთ:

**არგენტინა** (4-3-3): ანდუხარი - კამპანიარო, კოლოჩინი, ბასანტა (64. მასკერანო), კლემენტე როდრიგესი - ბილია (46. ბრანია), გინიასუ (71. ბანეგა), აუგუსტო ფერნანდესი - აგუერო (46. ლამელა), მესი (68. პალასიო), ლავეცი (79. მონტილიო)

### არგენტინის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირები:

| | |
|---|---|
| 1. გაბრიელ ბატისტუტა | 56 გოლი (79 მატჩი) |
| 2. ერნან კრესპო | 35 გოლი (64 მატჩი) |
| ლიონელ მესი | 35 გოლი (82 მატჩი) |
| 4. დიეგო მარადონა | 34 გოლი (91 მატჩი) |
| 5. ლუის არტიმე | 24 გოლი (25 მატჩი) |
| ... | |
| 10. გონსალო იგუაინი | 20 გოლი (33 მატჩი) |
| მარიო კემპესი | 20 გოლი (42 მატჩი) |

**ტატო ბაციკაძე**

რეალი

# დღეს მადრიდში ანჩელოტის იტყვიან



„მარკა“ და ესპანური წყაროები ამტკიცებენ, რომ დიდი ალბათობით დღეს მადრიდის „რეალი“ ახალი თავკაცის ვინაობას გამოაცხადებს და ის იტალიელი კარლო ანჩელოტი იქნება. „რეალის“ გენერალური მენეჯერი ხოსე ანხელ სანჩესი სამი დღე ყატარში იმყოფებოდა, სადაც ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა „პარი სენ-ჟერმენთან“, რის გამოც მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული წინ. ამბობენ, „რეალი“ მზად არის პსჟ-ს ანჩელოტისთან კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

AUTOPIA.GE
ავტონაწილების სუპერმარკეტი
5000 მეტი დასახელების ძარის ნაწილები
იტალიური PRASCO ოფიციალური წარმომადგენელი
მინდელის ხიდის მიმდებარე ტელ.:514 933 933
ქუთაისი, ქვიტირი ტელ.: 514 923 923
www.tuv.com TÜV

ევროპის ჩემპიონატი. U 21

# ფინალი, როგორც დიდებში: ესპანეთი VS იტალია

## ბორინის გადამწყვეტი შესვლა

**ესპანეთი-ნორვეგია 3:0**

**გოლები:** 1:0 როდრიგო (45), 2:0 ისკო (87), 3:0 მორატა (93)

**ესპანეთი (4-3-3):** დე ხეა - მონტოია, ბარტრა, ი. მარტინესი, მორენო - კოკე, ილიარამენდი, ტ. ალკანტარა - ტელიო (73. მუნიაინი), როდრიგო (58. მორატა), ისკო (89. სარაბია).

**ნორვეგია (4-3-3):** ნილანდი - ელაბდელაუი, ბერგი, სტრანდბერგი, ჰედენსტადი - ჰენრიკსენი, იოჰანსენი (ბერიშა), ეიკრემი (75. ნორდტვეიტი) - ბერგეტი, პედერსენი, კინგი (46. ნილსენი).

**იტალია-ჰოლანდია 1:0**

**გოლი:** 1:0 ბორინი (78)

**იტალია (4-4-2):** ბარდი - დონატი, ბიანკეტი, კალდიროლა, რეჯინი - ფლორენცი, როსი (90. კრიმი), ვერატი, ინსინიე (85. სანსონე) - ბორინი, იმობილე (62. გაბიადინი).

**ჰოლანდია (4-3-3):** ზოეტი - ვან რეინი, დე ვრეი (75. ვან დერ ჰოორნი), ინდი, ბლინდი (84. ფერი) - ვან გინკელი, მაჰერი, სტროოტმანი - ვეინალდუმი, ლ. დე იონგი, ჯონი (68. დეპაი).

**ევრო 2013-ის ფინალი ისეთივეა, როგორც ევრო 2012-ის: ესპანეთი იტალიის წინააღმდეგ. განსხვავება მხოლოდ ერთია, ახლა საქმე ახალგაზრდულ ნაკრებებთან გვაქვს. შაბათს ესპანეთის ნაკრებმა 3:0 გაანადგურა ნორვეგია, მასთან ფინალურ რანდევუზე კი იტალიამ ლივერპულელი ფაბიო ბორინის ერთადერთი გოლის წყალობით გააღწია.**



იტალიელი მარკო ვერატის და ჰოლანდიელი კევინ სტროოტმანის ორთაბრძოლა

ესპანეთის ნაკრები ფინალში ტიტულის დაცვას შეეცდება. ამისთვის „ფურია როხიტამ" ნორვეგიას **როდრიგოს, ისკოს** და **მორატას** გოლებით სამი მომაკვდინებელი ქრილობა მიაყენა.

მართალია, **ხულიენ ლოპეტეგის** ბიჭები მეტოქის ნახევარზე „დასახლდნენ", მაგრამ მეტოქე მხოლოდ ტაიმის მიწურულს გატეხეს, როცა როდრიგომ ახლო მანძილიდან დაასწრო გოლკიპერს.

მეორე ტაიმში ესპანეთის ნაკრები ისეთივე დინამიკური არ იყო, თუმცა მატჩის ბოლოსკენ მეტოქის საბოლოო გატეხვა შეძლო. 87-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა რეალელმა ალვარო მორატამ და მალაგელმა ისკომ შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს, რომელსაც არანაკლები დასრულება ჰქონდა, ისკომ ერთი მცველი „მოტეხა" და მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი. მატჩის ბოლოს მორატამ კონტრშეტევაზე იხეირა. მართალია, მეკარესთან დუელი თითქოს წააგო, მაგრამ ბურთს კარის ხაზზე მიუსწრო და თითქმის ნულოვანი კუთხიდან გაიტანა. მორატამ მე-4 მატჩში მე-4 გოლი გაიტანა.

**ხულიენ ლოპეტეგი** (ესპანეთი): *„ძალიან რთული თამაში იყო, ძალიან კარგი გუნდის წინააღმდეგ. ანგარიშმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. პირველ ტაიმში ბევრი შანსი გვქონდა, მაგრამ მათი მეკარე ფანტასტიკურად თამაშობდა. საბედნიეროდ, ერთი გოლის გატანა შესვენებამდე მაინც შევძელით. ამის შემდეგ ცოტა კარის უსაფრთხოებაზეც დავფიქრდით. გუნდმა ითამაშა, როგორც ერთიანმა ორგანიზმმა და ეს ძალიან მახარებს. ახლა ცოტას დავისვენებთ, ცოტას ვივარჯიშებთ და ფინალისთვისაც მზად ვიქნებით".*

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალური მატჩის კულმინაცია 78-ე წუთზე დადგა, როცა „ლივერპულის" ფორვარდი **ფაბიო ბორინი** ოსტატურად შეიჭრა ჰოლანდიელთა საჯარიმოში და ანგარიში გახსნა. მეტი გოლი ამ შეხვედრაში არ გასულა, იტალია სარეკორდო, მე-6 ტიტულს უმიზნებს ახალგაზრდულ ტურნირში.

პირველ ტაიმში „იონგ ორანიეს" უპირატესობას აშკარა ეტყობოდა, თუმცა ამისგან ჰოლანდიელებმა ვერ იხეირეს. ყველაზე დასამახსოვრებელი **ადამ მაჰერის** დარტყმა იყო, რომელიც ძელმა აისხლიტა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




კონფედერაციათა თასი. ბრაზილია 2013. I ტური. A ჯგუფი

# სუპერპირლო

**იტალია-მექსიკა 2:1**

**გოლები:** 1:0 პირლო (27), 1:1 ერნანდესი (34-პენ.), 2:1 ბალოტელი (78).

**იტალია (4-3-2-1):** ბუფონი - აბატე, ბარცალი, კიელინი, დე შილიო - პირლო, დე როსი, მონტოლივო - მარკიზიო (68. ჩერჩი), ჯაკერინი (88. აკვილანი) - ბალოტელი (86. ჯილარდინო)

**მექსიკა (4-2-3-1):** კორონა - ფლორესი, როდრიგესი, მორენო, სალსიდო - სავალა (86. ხიმენესი), ტორადო - აკინო (53. მაიერი), დოს სანტოსი, გუარდადო - ერნანდესი

**გაფრთხილება:** მორენო, დოს სანტოსი - ბარცალი, დე როსი, ბალოტელი

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 15-8(8-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 77 000

**მართალია, ისე დამაჯერებლად ვერა, როგორც ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა, მაგრამ იტალიამაც მოიგო და პირველი ტურის შემდეგ A ჯგუფში ყველაფერი ლოგიკურად დალაგდა. „სელესაოსა" და „სკუადრა აძურას" 3-3 ქულა აქვთ, მომდევნო ტურში მეტოქეებს გაცვლიან და თუ იქაც მოიგეს, ნახევარფინალურ საგზურებს ნაადრევად გაინაღდებენ.**



ბალოტელის გოლის შემდეგ

## მიმოხილვა

მატჩი იტალიელთა უპირატესობით წარიმართა, რაზეც სტატისტიკური მონაცემებიც ნათლად მეტყველებს. **ჩეზარე პრანდელის** შეგირდები დროის უდიდეს ნაწილს მეტოქის ნახევარზე ატარებდნენ და ბუნებრივია, მომენტებიც მეტი შექმნეს. იტალიელთა თავკაცმა 4-3-2-1 ტაქტიკა აირჩია, ერთადერთ გამოკვეთილ ფორვარდად **მარიო ბალოტელი** გაამწესა და მოედნის სიღრმიდან **კლაუდიო მარკიზიოსა** და **ემანუელე ჯაკერინის** ტანდემი დაახმარა. თუმცა ყველაზე მეტად ბალოტელის მაინც **ანდრეა პირლო** ეხმარებოდა, რომელმაც პირველ ტაიმში დიდებულად გაიტანა და მთლიანობაში, ბრწყინვალედ გაისარჯა.

პირლომ დაახლოებით 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა შეასრულა და ბურთი პირდაპირ „ცხრიანში" გაიტანა, 1:0. ეს 27-ე წუთზე მოხდა, დაახლოებით 7-8 წუთში კი აპენინელებმა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს. **ანდრეა ბარცალიმ** საკუთარ საჯარიმოში უხეში შეცდომა დაუშვა, ბურთი მეტოქეს ჩააბარა, შემდეგ კი აკრძალული ხერხით შეაჩერა. უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი გოლად „ჩიჩარიტომ" აქცია, 1:1.

მეორე ტაიმში იტალიელთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. თამაში მთლიანად მექსიკელთა ნახევარზე გადავიდა, რამაც შედეგი 78-ე წუთზე გამოიღო: იტალიელთა სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ ბურთი მარიო ბალოტელიმდე მივიდა, რომელმაც მეტოქის საჯარიმოში სამ მცველს აჯობა და ძლიერი დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა - 2:1. აღსანიშნავია, რომ გოლი ბალოტელიმ კვლავაც კუნთების დემონსტრირებით აღნიშნა, მაისურის გახდისთვის კი ყვითელი ბარათი მიიღო. დარჩენილ წუთებში იტალიელებმა ბურთი დაიჭირეს და მექსიკელებს შანსი პრაქტიკულად არც მისცემიათ. „სკუადრა აძურამ" უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო და დიდი ნაბიჯი გადადგა ნახევარფინალისკენ.

## საუკეთესო ფეხბურთელი

დიდი სამუშაო შეასრულა მარიო ბალოტელიმ და რომ არა მისი ერთი თანაგუნდელი, უდავოდ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იქნებოდა. თუმცა ის ერთი ფეხბურთელი არსებობს და მისი სახელი ანდრეა პირლოა. „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების საყრდენმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ეროვნული გუნდისთვის მოთამაშეების შერჩევისას პასპორტში ყურება არაა გამართლებული. წლებთან ერთად პირლოს საშემსრულებლო ოსტატობა ემატება, მისი თამაში კი ნამდვილი ხელოვნებაა. ანდრეამ მთელი შეხვედრის განმავლობაში უდირიჟორა გუნდს და ის გოლიც დაიმსახურა, რომელიც პირველი ტაიმის შუაწელს გაიტანა. თანაც, რა გოლი - დაახლოებით 30 მეტრიდან, უძლიერესი დარტყმით ბურთი ცხრიანში გაახვია. ბრავო, პირლო!

**ჩეზარე პრანდელი (იტალია):** *„საწყის წუთებში შეგირდებს მღელვარება შევატყვე, თუმცა შემდეგ გაიხსნენ და ძალიან კარგი მატჩი ჩაატარეს. გამოჩნდა, რომ ფიზიკური მომზადების მხრივ ყველაფერი რიგზეა, რამაც მეტად გამახარა. საოცრად ითამაშა ანდრეა პირლომ, მისმა გარჯამ „მარაკანაზე" შეკრებილი 80 ათასამდე ქომაგი აღაფრთოვანა. მარიო ბალოტელი? - „ბასტა", კუნთების დემონსტრირება მას სასტიკად აეკრძალება".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| მექსიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| იაპონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

**ლაშა წიკლაური**

კონფედერაციათა თასი. ბრაზილია 2013 | ტური. A ჯგუფი

# ნეიმარი იწყებს, ბრაზილია იგებს



ბრაზილიამ ტურნირი გამარჯვებით დაიწყო

| A ჯგუფი | |
|---|---|
| ბრაზილია-იაპონია | 3:0 |

**გოლები:** 1:0 ნეიმარი (3), 2:0 პაულინიო (48), 3:0 ჟო (90+3)

**ბრაზილია** (4-2-3-1): ჟულიო სეზარი - დანი ალვეში, ტიაგო სილვა, დავიდ ლუისი, მარსელო - პაულინიო, ლუის გუსტავო - ჰალკი (75. ერნანესი), ოსკარი, ნეიმარი (74. ლუკას მოურა) - ფრედი (81. ჟო)

**იაპონია** (4-2-3-1): კავაშიმა - უჩიდა, იოშიდა, კონო, ნაგატომო - ჰასებე, ენდო (78. ჰოსოგაი) - ჰონდა (88. ინუი), კაგავა, კიოტაკე (51. მაედა) - ოკაზაკი

**გაფრთხილება:** ჰასებე

**კუთხური:** 4-0; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-10 (9-6); **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 67 423

კონფედერაციათა თასის მე-9 გათამაშება მასპინძლების და იაპონიის ნაკრების მატჩით გაიხსნა. შეხვედრა დედაქალაქ ბრაზილიაში, **მანე გარინჩას** სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა. 68 000-მდე გულშემატკივარმა, რომელმაც სტადიონი თითქმის ბოლომდე გაავსო, საკუთარი ნაკრების დამაჯერებელი გამარჯვება იხილა.

შეხვედრის მესამე წუთზე **მარსელომ** საჯარიმოსკენ ჩააწოდა, სადაც ბურთს **ფრედი** დახვდა და თავით **ნეიმარს** დაუგდო - „ბარსელონას" ახალწვეულმა კი კარისკენ გაგზავნა და საკმაოდ ლამაზი გოლი გაიტანა. კონფედერაციის თასის ისტორიაში, ეს მესამე ყველაზე სწრაფი გოლი იყო.

ალსანიშნავია, რომ ბრაზილიას, კონფედერაციათა თასზე, ანგარიშის გახსნის შემდეგ თამაში წაგებული არ ჰქონდა (17 მოგება და 2 ფრე). ეს სასიამოვნო ტრადიცია ამჯერადაც გაგრძელდა, თუმცა მეორე ბურთი „სელესაომ" მხოლოდ მეორე ტაიმში გაიტანა - **დანი ალვეშმა** ბურთი საჯარიმოს მისადგომებისკენ გაგზავნა, სადაც მას **პაულინიო** დახვდა და ნეიმარზე არანაკლებ ლამაზი დარტყმით ანგარიში 2:0 გახადა.

საინტერესოა, რომ ნეიმარმა და პაულინიომ იაპონიის ნაკრებს გოლები უკანასკნელ შეხვედრაშიც გაუტანეს, რომელიც 2012 წლის ოქტომბერში გაიმართა. მაშინ ბრაზილიამ 4:0 მოიგო - ნეიმარმა დუბლი შეასრულა, თითოჯერ კი თავი პაულინიომ და **კაკამ** გამოიჩინეს.

მიუხედავად საკმაოდ ძლიერი შემადგენლობისა, იაპონელებს საკმაოდ უჭირდათ და **ჟულიო სეზარის** შეწუხებას ძალიან იშვიათად თუ ახერხებდნენ. საბოლოოდ, მასპინძლებმა დიდი ანგარიშით იმარჯვეს. მესამე ბურთი ცვლილებაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა შექმნეს - **ოსკარმა** მეკარესთან პირისპირ **ჟო** გაიყვანა, ვინც ნაკრებში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებული ნეიმარი, რომელმაც მცირე დაზიანება მიიღო და74-ე წუთზე **ლუკას მოურათი** შეცვალეს, კმაყოფილი იყო: *„ბედნიერი ვარ, რომ გოლი გავიტანე. ყოველთვის ვამბობდი, რომ საკუთარი თამაშის გაუმჯობესება მსურს და მინდა, რომ გუნდმა ერთი ორგანიზმივით იმოქმედოს. ტრავმა სერიოზული არაა და მომდევნო შეხვედრისთვის მზად ვიქნები".*

ბრაზილიამ ამ ტურნირზე ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიპოვა, დაუმარცხებელი სერია კი 9-მდე გაზარდა. მომდევნო ტურში **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდი იმ მექსიკას ხვდება, რომელმაც მათ ბოლო მარცხი აგემა (2005 წელს). იაპონიის ნაკრების მეტოქე კი იტალია იქნება.

## მატჩის შემდეგ

**ლუიშ ფელიპე სკოლარი** (ბრაზილია): *„დღევანდელმა შეხვედრამ აჩვენა, რომ გუნდი ნელ-ნელა უმატებს. სწრაფი გოლი ძალიან დაგვეხმარა, ამის შემდეგ კი დრო რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის გაუმჯობესებას დავუთმე. დარწმუნებული ვარ, რომ ყოველდღე მოვუმატებთ და თამაშს მხოლოდ და მხოლოდ გავაუმჯობესებთ. ნეიმარი? ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ ის ფანტასტიკური ფეხბურთელია. ის, შესაძლოა, ახლა ფორმაში არ იყოს, მაგრამ ნეიმარი ნამდვილი ვარსკვლავია და ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გუნდია. დღეს ჩვენი თავგანწირვა, ცივსისხლიანობა და ფიზიკური მომზადება მომეწონა".*

**ალბერტო ძაკერონი** (იაპონია): *„ახლა ანალიზისთვის საუკეთესო დრო არ არის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენმა გუნდმა ყველაფერი ის ვერ აჩვენა რაც ამ მატჩისთვის მოვამზადეთ. პირველი მატჩის და მეტოქის ფაქტორმა ჩვენზე ცუდად იმოქმედა. მათ საკუთარი კედლებით მაქსიმალურად ისარგებლეს, ჩვენ კი ისე კარგად ნამდვილად ვერ ვითამაშეთ, როგორც შეგვეძლო".*

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი**

## ნეიმარი (ბრაზილია)

„ბარსელონას" ახალწვეული მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ბრაზილიის ნაკრებს, მთლიანობაში, მიუხედავად სამი გოლისა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია, მაგრამ ეს ტურნირის პირველი მატჩი იყო და დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია; თანაც, სკოლარიმაც აღნიშნა, რომ მისი გუნდი თანდათან მოუმატებს. ვნახოთ...

ნეიმარმა კი კარგი შთაბეჭდილება დატოვა და გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი პირველი გოლით შეიტანა, რომელიც ძალიან ლამაზი და ამავე დროს, მნიშვნელოვანი გამოდგა. ფორვარდმა „სელესაოს" რიგებში 21-ე გოლი (35-ე შეხვედრაში) გაიტანა.

74-ე წუთზე, როდესაც მის ნაცვლად მოედანზე ლუკას მოურა გამოდიოდა, სტადონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა „სანტოსის" ყოფილი ფეხბურთელი ოვაციებით გააცილეს. არადა, „სანტოსის" მაისურთი თავისი უკანასკნელი მატჩი („ფლამენგოს" წინააღმდეგ) ნეიმარმა სწორედ ამ არენაზე ჩაატარა და მაშინ, მანე გარინჩას სახელობის სტადიონზე შეკრებილი პუბლიკა 21 წლის ფორვარდს 90 წუთის განმავლობაში უსტვენდა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



პირველი გოლის ავტორი ნეიმარი






სასტენდო სროლა. მსოფლიოს თასი

# ვაჟების ქალი ლიდერი

## ჩვენმა ქალბატონმა ყველაზე უკეთ ისროლა

კვიპროსულ ნიქოზიაში გუშინ დასრულდა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი სასტენდო სროლაში, რომელშიც საქართველოს ხუთი წარმომადგენელი გამოდიოდა - მამა-შვილი **გივი** და **დავით ქვათაძეები პავლე ლაკიასთან** ერთად ვაჟებში ცდიდნენ ძალებს, **ირაკლი ლომიძე** ახალგაზრდების ტურნირში ასპარეზობდა, ქალებში კი ახალგაზრდებში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **ნატალია პანასი** გამოდიოდა. უკლებლივ ყველა მრგვალ სტენდზე ისვრის.



ნატალია პანასი

ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ პანასმა ისროლა, რომელიც ამ ტურნირისთვის მშობლიურ მოსკოვში ემზადებოდა. ის საკვალიფიკაციო ეტაპზე ფინალურ ექვსეულში გამსვლელ ადგილს 3 ქულით ჩამორჩა, ლიდერთა დუეტთან კი 5 ქულა წააგო. მისი შედეგია 68 ქულა და მე-13 ადგილი, რაც არცთუ ურიგო შედეგია. ყოველ შემთხვევაში, ისეთი მაჩვენებელი ნამდვილადაა, რომ მომავალი ოლიმპიადის ლიცენზიაზე რეალურად ვიფიქროთ, რაც ჩვენი ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია - ეს იყო მისი გადმოყვანის ძირითადი მოტივი, თუმცა, ცხადია, უარს არც მსოფლიოსა და ევროპის მედლებზე იტყვიან, თუ მოიპოვებს. კვიპროსში პანასმა პირველ სერიაში 25 გასროლიდან 23 სამიზნე დააზიანა. ასეთივე შედეგი ჰქონდა მეორეშიც, მესამეში კი ერთით ნაკლები - 22 ქულა დააგროვა, რამაც ჯამში 68 შეადგინა.

როგორც გითხარით, ჩვენებურს ეს შედეგი საუკეთესო ექვსეულში მოსახვედრად არ ეყო, აი, დაწინაურებულ სექსტეტში კი საინტერესო ამბები მოხდა. თუნდაც ის, რომ ორჯერ დამყარდა მსოფლიოს რეკორდი, რაც კვიპროსელმა **ანდრი ელეფტერიოუმ** და სლოვაკმა **დანკა ბარტეკოვამ** შეძლეს. პირველი სერია ორივემ 100%-იანი შედეგით დაასრულა - 25-ვე სამიზნე დააზიანეს. მეორეში ორივეს უმტყუნა მიზანმა, მაგრამ უფრო მეტად სლოვაკს, რომელმაც ორი გაასროლა ააცილა, მასპინძელმა - მხოლოდ ერთი. ელეფტერიოუს შეეძლო, რეკორდის ერთპიროვნული ავტორი გამხდარიყო, თუ მესამეში უზუსტესად ისროდა და ყველა ცდას გამოიყენებდა. სერიის შუაწელამდე მართლაც უდანაკარგოდ მიდიოდა და მხოლოდ მე-12 გასროლა გააფუჭა. თუმცა ერთპიროვნული რეკორდსმენობის შანსი მაინც რჩებოდა, სლოვაკს ერთხელაც თუ აუკანკალდებოდა ხელი. კვიპროსელის სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ბარტეკოვამ ყველა სამიზნე დააზიანა. საბოლოოდ ორივემ 73-73 ქულა დააგროვა, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია. ნიქოზიაში კიდევ ერთი ანალოგიური რეკორდი დამყარდა, ოღონდ ახალგაზრდებში, რომელიც ბრიტანელ **ამბერ ჰილს** ეკუთვნის - 71 ქულა. საინტერესოა, რომ ფინალში დარჩენილი სამეულის წევრებიც ასეთივე შედეგით შევიდნენ.

ბარტეკოვას, აი, სწორედ ფინალში უმტყუნა ნერვებმა. მოგეხსენებათ, შეჯიბრება ახალი წესებით ტარდება - ფინალში გასულები კიდევ ერთ საკვალიფიკაციო ეტაპს ატარებენ, რომლის შედეგებითაც ირკვევა ოქროსა და ბრინჯაოს მედლისთვის მებრძოლი წყვილები: ორი საუკეთესო ჩემპიონობისთვის აგრძელებს ბრძოლას, მესამე-მეოთხეზე გასულები ბრინჯაოსთვის შეერკინებიან ერთმანეთს, დარჩენილი ორი კი გავარდება. ფინალის პირველ ნახევარში ბარტეკოვამ 16 გასროლიდან ორჯერ დააცილა მიზანს და 14 ქულა დააგროვა, ელეფტერიოუმ კი მხოლოდ ერთი ცდა ვერ გამოიყენა - 15 ქულა. ასევე ერთხელ აუცდა ჩინელ **დონლიან ჭანსაც** და მთავარ ფინალში მასპინძელთან საბრძოლველად ის გავიდა, ბარტეკოვას კი ნუგეშად ბრინჯაო დარჩა, რომელსაც ასევე 14-ქულიანი იტალიელი **დიანა ბაცოსი** ეცილებოდა. ბევრისთვის მოულოდნელად, აქ უფრო ზუსტი სწორედ იტალიელი აღმოჩნდა, მთავარი ფინალი კი დაძაბული გამოდგა და ფრედ დასრულდა - 13:13. დამატებითმა ცდამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩინელთა „რკინის ნერვების" ამბავი - ჭანმა 7:6 მოიგო და ტურნირის ჩემპიონიც გახდა.

ვაჟთა ტურნირში ჩვენები ბევრად მოკრძალებულად გამოვიდნენ - **დავით ქვათაძე** 125-დან 108 ქულით 85 მონაწილეს შორის 74-ე ადგილზე გავიდა, გივი ქვათაძე 103-ით - 78-ზე, ლაკია კი 101-ით მე-80-ე აღმოჩნდა. ახალგაზრდებს შორის ლომიძემ 101 ქულა დააგროვა, რაც მე-15 შედეგია. ვაჟთა ტურნირი ქუვეითელმა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა **აბდულა ალ რაშიდიმ** მოიგო, ვინც ფინალში შვედ **ჰენრიკ იანსონს** გადასროლაში 10:9 აჯობა, მესამეზე კი ესპანელი **ხუან ხოსე არამბურუ** გავიდა. შეგახსენებთ, რომ ალ რაშიდი მსოფლიოს ჩემპიონი აწ გარდაცვლილი ცნობილი ქართველი მწვრთნელის - თემურ მატოიანის ხელმძღვანელობით გახდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა მატოიანი და მისი მუშაობა ქუვეითის ნაკრებში, ეს მართლაც ტალანტი მსროლელი ამდენს ნამდვილად ვერ მიაღწევდა. ეგ კი არა, იქნებ ერთხელაც ვერ მოეგო მსოფლიოს პირველობა, იმდენად ჭირვეული ზნის გახლდათ - არად დაგიდევდათ ნაკრების სამწვრთნელო შტაბს, მათ გეგმებს და ლამის ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, თუმცა ჩვენებურმა შეძლო მისი ნიჭის სავარჯიშო რეჟიმში მოქცევა, რაც იმ დიდი წარმატების წინაპირობა გახდა.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული





**კვარცხლბეკი**

**55 კგ.** 1. ლევან ბერბერაშვილი (თიანეთი), 2. გიორგი სოზიაშვილი (კასპი), 3. გიორგი მირუაშვილი (გორი).

**60 კგ.** 1. გერძი ფეტვიაშვილი (ახმეტა), 2. ლაშა ჩადუნელი (ხაშური), 3. გიორგი ავანაშვილი (მუხრანი).

**65 კგ.** 1. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), 2. კახა ცაგარელი (ყვარელი), 3. გიორგი გუგულაშვილი (კასპი).

**70 კგ.** 1. ანდრო ბერუაშვილი (სამაჩაბლო), 2. ირაკლი ლომიძე (გორი), 3. ტრისტან ფეიქრიშვილი (კასპი).

**75 კგ.** 1. ალექსანდრე ნანიევი (ლაგოდეხი), 2. გიგა ნოზაძე (ხაშური), 3. ომარ ნიაზაშვილი (თბილისი).

**80 კგ.** 1. ჯაბა ბიწაძე (ლაგოდეხი), 2. ილია ლაშაური (მცხეთა), 3. გელა გასიტაშვილი (გორი).

**90 კგ.** 1. დათო ხუციშვილი (ქარელი), 2. უშანგი გასიტაშვილი (გორი), 3. ნოდარი ბერიანი (ბოლნისი).

**მძიმე:** 1. გიგა თაყაძე (გორი), 2. თორნიკე ოთინაშვილი (სამაჩაბლო), 3. გიორგი ლაზუაშვილი (ზესტაფონი).

# აგებენ არენებს, ჭიდაობენ ქართულს

## საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის

საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის ქართულ ჭიდაობაში 15-16 ივნისს ჩატარდა მუხრანში (მცხეთის რაიონი). შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელმა მოჭიდავეებმა იასპარეზეს, რომლებმაც აქამდე გამართულ ზონალურ პირველობებში თითოეულ წონით კატეგორიაში პირველ სამეულებში დაიკავეს ადგილი. ქვეყნის პირველობა, როგორც მოსალოდნელი იყო საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. შეჯიბრება პირველ დღეს მუხრანის არენის გახსნამაც გაალამაზა. ეს მეორე საჭიდაო არენაა მეტეხის შემდეგ, რომელიც ქართული ჭიდაობის ფედერაციის (პრეზიდენტი **გელა ბერუაშვილი**) და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელდა. ნიშანდობლივია, რომ მეტეხისგან განსხვავებით მუხრანში არენა გადახურულია (500-მდე მაყურებლისთვის ირგვლივ სკამები განლაგებული). უნდა აღინიშნოს, რომ სარბიელი მართლაც საკმაოდ ლამაზი გამოვიდა. მიმდინარე ზაფხულში კიდევ 18 ასეთი არენის აგებაა დაგეგმილი. გახსნის ღონისძიებას ქართული სპორტის სხვადასხვა სახეობების არაერთი წარმომადგენელი ესწრებოდა. ორივე საშეჯიბრო დღის განმავლობაში ჭიდაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა **დავით ზეიკიძემ** ფულადი თანხით დაასაჩუქრა ვეტერანი და თანამედროვე ფალავნები, სპეციალისტები - **ქრისტეფორე ნინიაშვილი, ოთარ ყურაშვილი, აბესალომ ნიკლაური, გიორგი ბაინდურაშვილი, უშანგი კუზანაშვილი, ვარლამ ლიპარტელიანი.** ქართული ჭიდაობის ფედერაცია კი ყოველი წონითი კატეგორიის გამარჯვებულებს საპრიზო თანხით, პრიზიორებს კი მედლებით და ფასიან საჩუქრებით აჯილდოებდა. საერთოდ გუნდებმა თითქმის თანაბარი წარმატებით იასპარეზეს. ყველაზე მეტი, ორ-ორი გამარჯვებული მხოლოდ ქარელსა და ლაგოდეხს ჰყავთ. მძიმე წონაში პირველი ადგილი არავის დაუთმო გორელმა **გიგა თაყაძემ**, რომელმაც ერთი კვირის წინათ მეტეხში ზონალურ პირველობაზეც დამაჯერებლად იმარჯვა. აღსანიშნავია, რომ არენაზე დამონტაჟებული იყო ტაბლო და ქომაგსაც ოპერატიულად შეეძლო ედევნებინა თვალი დროის და ქულობრივი აღრიცხვისათვის, ასევე ვიდეოგამეორებებისათვის, რამაც თითქმის გამორიცხა საკამათო სიტუაციები.

**ვასილ ბალახაძე**
მუხრანიდან
ფოტო: www.qartlisport.ge

სამბო



ზვიად ოდოშაშვილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

# ოდოშაშვილმა კრასნოდარში იმარჯვა

23 წლის კასპელმა სამბისტმა **ზვიად ოდოშაშვილმა** (62 კგ) გამარჯვება მოიპოვა ამ დღეებში კრასნოდარში გამართულ ჰუსეინ ხაიბულაევის სახელობის ტრადიციულ ტურნირში, რომელშიც ძირითადად რუსეთის სხვადასხვა ოლქების, სომხეთის და საქართველოს სამბისტებმა იასპარეზეს. ჩვენი გუნდი მწვრთნელ **ჯამბულ ქამხაძის** ხელმძღვანელობით ოთხკაციანი შემადგენლობით ჩავიდა კრასნოდარში. ოდოშაშვილის გარდა კვარცხლბეკზე დადგა **კახა მამულაშვილი** (74 კგ), იგი ვერცხლის მედლს დაეუფლა. მეხუთე ადგილებზე გავიდნენ **ბექა ბერიაშვილი** (68 კგ) და **შმაგი შარიფაშვილი** (82 კგ). „წარმატებით, ცხადია, კმაყოფილი დავრჩი. ოქროს მედლამდე ოთხ მოწინააღმდეგეს ვძლიე და ყველა რუსეთის წარმომადგენელი იყო. გამარჯვება თავისთავად, მაგრამ კარგი საშეჯიბრო გამოცდილებაც მივიღე", - გვითხრა ზვიად ოდოშაშვილმა.

**ვასილ ბალახაძე**

წყალბურთი

# უმცროსებში საჩხერე პირველია

2000 წელს და უფრო გვიან დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობაში, როგორც გაუწყეთ, 9 გუნდი მონაწილეობდა. პლეი ოფში კი ოთხმა გუნდმა გააღწია. დასკვნით ორთაბრძოლებს საჩხერემ უმასპინძლა. ასპარეზობის პირველ დღეს ნახევარფინალში ქუთაისმა დაძაბულ პაექრობაში სძლია თბილისის „ივერიას" 7:6, საჩხერელმა ჭაბუკებმა კი ბათუმელებს აჯობეს 6:4. მესამე ადგილისთვის პაექრობაში ბათუმმა „ივერიას" მოუგო 7:6 და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ფინალში საჩხერის გუნდმა (**ნიკა სადუნიშვილი, გიორგი სადუნიშვილი, ტატო ქავთარაძე, თორნიკე ხვინგია, დათა შუბითიძე, კახა სამყურაშვილი, ნიკა სამყურაშვილი, ნიკა მესხი, მიხეილ არჯევანიძე, ოთარ ივანაშვილი, გია მაჭავარიანი, ლუკა ნადირაძე, ირაკლი გაბაძე, აკაკი შუკაკიძე და ნიკა ლაბაძე**, მწვრთნელები - **მამუკა ტყაბლაძე და კახა ვალიშვილი**) იოლად დაამარცხა ქუთაისი - 12:3 და ჩემპიონობა მოიპოვა. ვერცხლის მედლები რიონისპირელებს ერგოთ.

**ვაჟა დანელია**



საჩხერის გუნდი

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

# საკვალიფიკაციოშიც დამარცხდა

სტრასბურში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ თბილისელი **ანა ტატიშვილი** ზედიზედ მესამე ტურნირის სტარტზე დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ღია პირველობის პირველივე შეხვედრა ძირითად ბადეში ამ ტურნირის ფავორიტ **სერენა უილიამსთან** (აშშ) დათმო (0:6, 1:6), მერე ბირმინგემში **ფრანჩესკა სკიავონემ** (იტალია) დააყრევინა ფარ-ხმალი - 2:6, 6:3, 7:6.

და აი, ბრიტანულ ისტბორნში ანა საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება შეჯიბრებაში და იქაც ვერაფერს გახდა - სტარტზევე პორტუგალიელ **მარია ჟოაო კოელერთან** 2 საათსა და 20 წუთში წააგო - 2:6, 7:6, 4:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის

**გოდერძი კაჭარავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ჭადრაკი

# ისევ ჯოჯუა ლიდერობს

გასულ უქმეებზე საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში მორიგი ორი ტურის პარტიები გათამაშდა. მე-4 ტურში ზედიზედ მე-4 გამარჯვება იზეიმა **დავით ჯოჯუამ**, რომელმაც შავი ფიგურებით **გიგა ყუფარაძე** დაამარცხა. უახლოესი მდევრები - **კონსტანტინე შანავა** და **ლუკა პაიჭაძე** ყაიმებს დასჯერდნენ, შესაბამისად, **გაიოზ ნიგალიძესა** და **მერაბ გაგუნაშვილთან.** ასევე, დაზავდნენ **მიხეილ მჭედლიშვილი** და **დავით ლომსაძე**, ხოლო **ლევან ფანცულაიამ დავით ზარქუას, დავით მაღალაშვილმა** კი **ფრიდონ ყალაგაშვილს** აჯობა.

დაძაბულად წარიმართა გუშინდელი მე-5 ტურის შეხვედრები. ერთპიროვნული ლიდერის წინსვლა მაღალაშვილმა შეაფერხა - მეტოქეები 23-ე სვლაზე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. სამაგიეროდ, პაიჭაძემ და შანავამ იყოჩაღეს - შავი ფიგურებით ლომსაძეს და ყალაგაშვილს გააჩერებინეს საათები. ახლა მეწინავესთან ისევ ნახევარ-ნახევარი ქულა აშორებთ. ნიგალიძემ თეთრი ფიგურებით ჩემპიონატის რეიტინგფავორიტი მიხეილ მჭედლიშვილი 42-ე სვლაზე დაამარცხა. მე-10 სვლაზე (!) შეთანხმდნენ ყაიმზე ზარქუა და ყუფარაძე, ხოლო ლევან ფანცულაიამ 98-ე სვლაზე მერაბ გაგუნაშვილს მოუგო.

ხუთი ტურის შემდეგ: ჯოჯუა - 4,5, პაიჭაძე, შანავა - 4-4, ნიგალიძე - 3,5, ფანცულაია - 3, გაგუნაშვილი, მჭედლიშვილი, ყუფარაძე - 2,5-2,5, მაღალაშვილი - 2, ლომსაძე - 1, ზარქუა - 0,5, ყალაგაშვილი - 0 ქულა.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: ყუფარაძე - მაღალაშვილი, შანავა - ჯოჯუა, მჭედლიშვილი - ყალაგაშვილი, პაიჭაძე - ნიგალიძე, ფანცულაია - ლომსაძე, ზარქუა - გაგუნაშვილი.

**ვაჟა დანელია**

# ნანამ მოგებით დაიწყო

სომხურ დილიჟანში გუშინ დაიწყო მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის გათამაშების მეორე რაუნდი, რომელშიც 12 მანდილოსანი წრიული სისტემით შეხვდება ერთმანეთს. შეჯიბრებაში 2 ქართველი დიდოსტატიც თამაშობს.

2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონმა **ნანა ძაგნიძემ** (2550) გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერა - მონგოლი თუვშინთუგს ბათჩიმეგი (2316) 51-ე სვლაზე დაამარცხა. მსგავსი წარმატების მიღწევა შეეძლო გრან პრის პირველი ეტაპის გამარჯვებულ **ბელა ხოტენაშვილს** (2531), რომელიც შავი ფიგურებით ეთამაშებოდა რუს ორგზის ევროპის ჩემპიონ ტატიანა კოსინცევას (2526). ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ცაიტნოტში 36-ე სვლაზე უხეში შეცდომა დაუშვა და ბელას მოგების შანსი მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა - პირიქით, თავადაც შეცდა და უპირატესობას მეტოქე დაეუფლა. კოსინცევამ თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა - ჩვენებურს 84 სვლაზე საათი გააჩერებინა. დანარჩენი ოთხი პარტია ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ანა უშენინა (უკრაინა, 2499) - ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2593), ელინა დანიელიანი (სომხეთი, 2475) - მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2531), ოლგა გირია (რუსეთი, 2436) - ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2511) და ინდოელები - ჰარიკა დრონავალი (2492) - მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მფლობელი ჰამფი კონერუ (2597).

დღეს მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართება: ჩმილიტე - ხოტენაშვილი, მუზიჩუკი - კოსინცევა, სტეფანოვა - უშენინა, კონერუ - დანიელიანი, ძაგნიძე - დრონავალი, გირია - ბათჩიმეგი.

ტურნირზე 20 და 25 ივნისი დასვენების დღეებია.

**ვაჟა დანელია**





ნანა ძაგნიძე (მარჯვნივ) თუვშითუნგს ბათჩიმეგის შეხვედრა

# ოქროს ქვიშებს ტრიო მეწინავეობს

სამი ქართველი მონაწილეობს მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში - „ოქროს ქვიშები-2013", რომელსაც ბულგარეთი მასპინძლობს. გუშინ მე-7 ტურში **ზურაბ ჯავახაძემ** კოსმინ პარლიგრასი (რუმინეთი) დაამარცხა, **თამაზ მგელაძეს** ნომან ომარი (არაბთა გაერთიანებული საამიროები) არ გამოუცხადდა და მოგება ჩაეწერა; **ივერი ჭიღლაძემ** კი ალექსეი ვოლდინთან (რუსეთი) წააგო. ლიდერთა ჯგუფის ორთაბრძოლები კი ასე დამთავრდა:

სანტოშ ვიდითი (ინდოეთი) - ზბინეკ ჰრაჩეკი (ჩეხეთი) 0,5:0,5, ვლადისლავ ნევედნიჩი (რუმინეთი) - ნილს გრანდელიუსი (შვედეთი) 0:1, ვიტალი ბერნადსკი (უკრაინა) - ვლადიმირ გეორგიევი (მაკედონია) 0:1, დრაგიშა ბლაგოევიჩი (ჩერნოგორია) - არუნ არასადი (ინდოეთი) 0,5:0,5.

შვიდი ტურის შემდეგ: ჰრაჩეკი, გეორგიევი, გრანდელიუსი - 6-6 ქულა, 6 მოჭადრაკეს 5,5-5,5 ქულა აქვს.ბოლოსწინა მე-8 ტურში ქართველები ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: დენი რაზნიკოვი (ისრაელი) - ზურაბ ჯავახაძე, თამაზ მგელაძე - ირინე კარიშმა სუდანკარი (ინდონეზია), ირინა იონესკუ (რუმინეთი) - ივერი ჭიღლაძე.

**ვაჟა დანელია**

პრეზენტაცია

# საქართველო ჩვენი ფასეულობები





როგორც ცნობილია, საქართველოს საპატრიარქოსა და გამომცემლობა „პალიტრა L-"ის თანამშრომლობით ხორციელდება პროექტი - „საქართველო ჩვენი ფასეულობები". მრავალტომეულის გამოცემა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის **ილია მეორის** დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილეს ეძღვნება. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში უკვე გამოიცა ორი წიგნი - „საქართველოს ბუნება" და „ქართული სპორტის ოქროს წიგნი". 15 ივნისს ამ გამოცემების პრეზენტაცია გაიმართა ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

„ქართული სპორტის ოქროს წიგნი" პრეზენტაციაზე წარადგინა კრებულის შემდგენელმა და რედაქტორმა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა **ელგუჯა ბერიშვილმა.**

წიგნში უხვადაა წარმოდგენილი ტექსტობრივი და ფოტო მასალები როგორც სპორტის ოლიმპიური, ისე არაოლიმპიური სახეობების შესახებ. მკითხველი გაეცნობა საქართველოს სახელოვანი სპორტსმენების მიღწევებს ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატებში, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე, პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი**, გარემოს დაცვის მინისტრი **ხათუნა გოგალაძე**, ცნობილი სპორტსმენები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება. დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ფარიკაობა

# ევროპაზე - სამი მუშკეტერით

გუშინ ზაგრებში (ხორვატია) დაიწყო მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველთაგან მხოლოდ მოხმალავე ვაჟები იასპარეზებენ. მთავარი მწვრთნელის - **მერაბ ბაზაძის** ხელმძღვანელობით დღეს გამთენიისას ევროპისკენ აიღო გეზი საქართველოს ნაკრებმა. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ახალგაზრდებში 2013 წლის ევროპის ჩემპიონი **სანდრო ბაზაძე**, 23-წლამდელებში შარშანდელი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **ბექა ბაზაძე** და კადეტებში 2010 წლის მსოფლიოს პირველობის მესამეადგილოსანი **მიხეილ მარდალეიშვილი.** 19 ივნისს ქართველი მუშკეტერები ინდივიდუალურ პირველობაში მოსინჯავენ ძალებს, 21-ში კი გუნდური მედლებისთვის იბრძოლებენ.

„ბიჭები კარგად არიან მომზადებული, თუმცა, ვფიქრობ, ჩვენს ახალგაზრდებს გამოცდილ მეტოქეებთან გამკლავება გაუჭირდებათ. ამის მიუხედავად, ერთ-ერთი მათგანი 16 საუკეთესოში აუცილებლად უნდა მოხვდეს. რაც შეეხება გუნდურ შეჯიბრებას, სასტარტო შეხვედრა უნდა მოვიგოთ, რომ მეოთხედფინალში გავიდეთ. მეტოქეებთან 3 სპორტსმენით გამკლავება გადავწყვიტეთ, რადგან 5 აგვისტოს უნგრეთში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. იქ კი ოთხკაციანი გუნდით გავემგზავრებით. იმ შეჯიბრებისთვის უკეთ მოსამზადებლად პოლონელებს მოველაპარაკეთ ასპარეზობამდე ვარშავაში ერთკვირიანი ერთობლივი საწვრთნელი შეკრების ჩატარებაზე, ამიტომ ამჯერად თანხები დავზოგეთ", - გვითხრა ზაგრებში გამგზავრების წინ მერაბ ბაზაძემ.





მარცხნიდან: ბექა ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, სანდრო ბაზაძე

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფ...

ქართველი თურქეთში

# მანუმ კოლექცია თურქეთის ჩემპიონობით შეავსო

საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა **მანუჩარ მარკოიშვილმა** თავის მდიდარ კოლექციას თურქეთის ჩემპიონისთვის განკუთვნილი ოქროს მედალი მიამატა. აქამდე მანუ საქართველოს, იტალიისა და სლოვენიის ჩემპიონი გახდარა. 2002 წელს ბათუმის "ბასკოში", 2003 წელს იტალიის "ბენეტონში", ხოლო 2005 და 2006 წლებში სლოვენიის პირველობა მოიგო.

შაბათს კი მანუს "გალათასარაიმ" "ბანვითს" თურქეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში მეოთხე მატჩი (4:1) მოუგო და ჩვენი მეზობელი ქვეყნის პირველობაზე პირელი ადგილი დაიკავა. იმასაც გეტყვით, რომ მანუ რეკორდსმენია – აქამდე არც ერთ ქართველს ოთხი ქვეყნის ჩემპიონობა არ მოუპოვებია.



ახლა უფრო კონკრეტულად: "გალათასარაიმ" "ბანვითს" სერიის მეხუთე შეხვედრაში 76:58 სძლია. სტამბოლელები პირველი ტაიმის შემდეგ 37:23-ს იგებდნენ და დიდი შესვენებისასაც ცხადი იყო, რომ იმ მატჩს "გალა" აღარ დათმობდა. ასეც მოხდა, მანუს თანაგუნდელებმა მიღწეული უპირატესობა მეორე ტაიმშიც შეინარჩუნეს და საბოლოოდ 18 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს.

მატჩის ბომბარდირი 22 ქულით გალათასარაელი **ჩენკ აკიოლი** გახდა. მანუჩარ მარკოიშვილმა 20 წუთში 7 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. მის ანგარიშზე 2-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმოა.

როგორც თურქეთის ჩემპიონი, "გალათასარაი" მომავალ სეზონში ევროლიგაზე ითამაშებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

რეგიონი

# კახეთის ჩემპიონი ბურჯია

თელავმა კალათბურთში კახეთის ჩემპიონატს უმასპინძლა. ტურნირი ადგილობრივი კალათბურთის ფედერაციისა და თელავის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს გუნდებმა მთელი კახეთიდან - სიღნაღიდან, გურჯაანიდან, ლაგოდეხიდან, დედოფლისწყაროდან, ახმეტიდან და რა თქმა უნდა, თელავიდან. ტურნირს დაესწრო და დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კალათბურთის ფედრაციის ხელმძღვანელობამ: პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** და გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა.**

ფინალურ მატჩში ერთმანეთს თელავისა და გურჯაანის გუნდები შეხვდნენ. მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და თელავური „ბურჯი-95-ის" გამარჯვებით, 101:31 დასრულდა.

თელაველთა მწვრთნელი **ნოდარ იანქოშვილი** კალათბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

gbf.ge



აღიარება

# ჯა-კომ ნომინანტები გამოარჩია

## ისიანი, რევაზაშვილი, როგავა, ათუაშვილი

შაბათ საღამოს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ "მუზაში" თავი მოიყარეს კულტურისა და სპორტის ცნობილმა წარმომადგენლბმა. რომელთა შორის იყვნენ, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები, ფეხბურთისა და სპორტის სხვა სახეობების ვეტერანები, საკალათბურთო ოჯახის უამრავი წარმომადგენელი. ღონისძიება ხომ სწორედ საკალათბურთო ჩემპიონატების გამორჩეულ მოთამაშეთა დასაჯილდოებლად მოეწყო, რომლის ორგანიზატორი სპორტული რადიო "ჯა-კო" იყო.

შეხვედრას უძღვებოდა "მაქაბისა" და "ჯა-კოს" ხელმძღვანელი, კომენტატორი **ჯამლეტ ხუხაშვილი**. მან გვამცნო, რომ სპორტულმა რადიომ საქართველოს სამ ასაკობრივ ჩემპიონატსა და სუპერლიგაში საუკეთესო კალათბურთელები დაასახელა. რომლებსაც მედლები, სიგელები, თასები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. ოთხივე შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმი ერთნაირი იყო: ქულა+მოხსნა+პასი.

16-წლამდელთა ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელი **ვილი ისიანი** გახდა, რომელმაც შეჯიბრების მსვლელობისას ერთ მატჩში 127 ქულა ჩააგდო. "შსს აკადემიას" მაისურით ვილის სეზონის საშუალო მაჩვენებელი ასეთი იყო: 29.9 ქულა, 19.3 მოხსნა, 4.1 პასი.



18-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატში შთამბეჭდავი სტატისტიკა ჰქონდა **მაიზერ რევაზაშვილს**: 36.5 ქულა, 16.8 მოხსნა, 1.3 პასი. პირველობის საუკეთესოდ რადიო "ჯა-კომ" სწორედ "მაქაბისა" საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების წევრი მაიზერი დაასახელა. სხვათა შორის, შეჯიბრების ბოლო ტურში მან 90 ქულა მიითვალა.

20-წლამდელებში "ჯა-კომ" "შსს აკადემიას" უკანახაზელი **რევაზ როგავა** გამოარჩია. რეზო სუპერლიგაშიც საკმარისად იტვირთებოდა, ახალგაზრდებში კი საშუალოდ 19 ქულას, 6.4 მოხსნასა და 5.5 პასს ითვლიდა. იგი საქართველოს ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული.

უმაღლეს ლიგაში სეზონის მიხედვით საუკეთესო სტატისტიკა ჰქონდა **სერგო ათუაშვილს**, რომელმაც დუშეთის სპორტის სახლისგან საჩუქრად ტელევიზორი დაიმსახურა. სერგომ გასული სეზონი ირანში კარგად დაიწყო, იანვარში "სოხუმში" გადმოვიდა და იმდენი მოახერხა, რომ დამსახურებულად მიიღო "ჯა-კოსგან" საუკეთესოს ჯილდო. სეპერლიგაში 224 სმ სიმაღლის ათუაშვილი საშუალოდ 19.4 ქულას, 14.1 მოხსნასა და 1.6 პასს აგროვებდა.

ღონისძიების ბოლოს სცენაზე ავიდა ხუთი ძმა რევაზაშვილი, რომელთა ფონდის პრეზენტაცია სწორედ გუშინდელ შეხვედრას დაემთხვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

2001 წელს დაბადებულთა ჩემპიონატი



# გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები

გუშინ, 53-ე საშუალო სკოლის დარბაზში 2001-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. ყველა მატჩი დაძაბული გამოდგა. „ჰიუნდაიმ" პირველი მეოთხედი 17:4 მოუგო „მართვეს" და ცხადჰყო, რომ ნახევარფინალში გავიდოდა, დანარჩენ მატჩებში კი გამარჯვებული ბოლო წუთებამდე უცნობი იყო.

„აკადემიასა" და „დინამოს" დაპირისპირება თავიდან და მატჩის ბოლო მეოთხედამდე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ბოლო წუთებზე მატჩის ბედი აკადემიელი **მიშო ზურაბაშვილის** კარგმა თამაშმა განაპირობა. ბოლო წუთებზე მოიგო „გორმაც", რომელსაც „სოხუმმა" დიდი წინააღმდეგობა გაუწია და ის გარჯა, რაც მთელი თამაშის მანძილზე შედეგიანად გასწია, ბოლო 2 წუთში წყალს გაატანა. გორელებმა 42:36 იმარჯვეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

მეოთხედფინალისტთა ბოლო ჯახში „ორბმა" დაძაბულ ბრძოლაში მოუგო „რუსთავს". ბოლო წუთებამდე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, თუმცა გადამწყვეტ მომენტში **ნიკო ნიკოლაიშვილის** აქტიურობამ **ზვიად დიდბარიძის** გუნდს გამარჯვება მოუტანა 52:44.

ნახევარფინალები დღეს, 17 ივნისს, საკალათბურთო აკადემიაში გაიმართება. 10:30 სათზე „ორბი" და „ჰიუნდაი" ითამაშებენ, ხოლო 16:30-ზე ერთმანეთს „აკადემია" და „გორი" შეხვდებიან.

**16 ივნისი. 53-ე სკოლა**

| აკადემია–დინამო | 57:48 |
|---|---|

13:14, 7:7, 23:13, 14:14
**აკადემია:** მ. ზურაბაშვილი (19)...
**დინამო:** ი. სულხანიშვილი (21)...

| ჰიუნდაი–მართვე | 38:22 |
|---|---|

17:4, 4:2, 5:8, 12:8
**ჰიუნდაი:** უ. გაგნიძე (12)...
**მართვე:** ლ. მიმინოშვილი (14)...

| სოხუმი–გორი | 36:42 |
|---|---|

10:12, 10:3, 7:12, 9:15
**სოხუმი:** ნ. გიორგაძე (10), თ. ქიქინაძე (8)...
**გორი:** ვ. ქურდაძე (26)...

| ორბი–რუსთავი | 52:44 |
|---|---|

8:10, 14:9, 11:10, 19:15
**ორბი:** ნ. ნიკოლაიშვილი (18)...
**რუსთავი:** გ. ტაბალუა (10)...

gbf.ge

ქართველი იტალიაში




# ოთხიანები და 2:1

იტალიის ჩემპიონატში ფინალურ სერიას თამაშობს **ვიქტორ სანიკიძე**. მისმა "მონტეპასკიმ" რომში ორი შეხვედრა ჩაატარა, ერთი მოიგო, ერთიც წააგო და სერიამ სიენაში საყაიმო ანგარიშით გადაინაცვლა. მონტეპასკელებმა შინ გამართულ პირველივე შეხვედრაში ქომაგს არ „აწყენინეს" და 89:81 გაიმარჯვეს. რაც იმას ნიშნავს, რომ სერიაში სიენელები 2:1 დაწინაურდნენ. ჩემპიონობას მოიპოვებს ის, ვინც სერიაში ოთხ შეხვედრას მოიგებს. ცხადია, 2:1-ის შემდეგ წარმატებასთან უფრო ახლოს "მონტეპასკია", მაგრამ მას წინ სერიოზული ბრძოლები ელის. უახლოესი შეხვედრა 17 ივნისს ისევ სიენაში გაიმართება.

სერიის მესამე მატჩი მეოთხე პერიოდამდე თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. მეოთხე რაუნდის წინ სულაც სტუმარი რომაელები იგებდნენ, მაგრამ გადამწყვეტ რაუნდში სიენელებმა 27:17 იყოჩაღეს და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ვიქტორ სანიკიძემ "მონტეპასკის" რიგებში 10 წუთი ითამაშა და 4-4 ქულა-მოხსნა მოაგროვა. სიენელთა ბომბარდირი გამთამაშებელი **ბობი ბრაუნი** გახდა, რომელმაც 23 ქულას მოუყარა თავი. მის ანგარიშზე 7-დან 4 სამქულიანია.

საერთოდ, შეხვედრის სნაიპერობა კი რომაელმა **ლუიჯი დატომემ** იკისრა – 25 ქულა ჩააგდო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამხრეთაფრიკული ბარიერი ვერ გადავლახეთ

16.06. თბილისი. ავჭალა.

საქართველო 16

ს. აფრიკა 21

**საქართველო**

(15-9) ყიასაშვილი, ნიკლაური, კაჭარავა, მჭედლიძე (ჯინჭველაშვილი 74), თოდუა (ძნელაძე 65), მალაღურაძე, ხუციშვილი (როხვაძე). (1-8) ფეიქრიშვილი (ჩილაჩავა 75), მამუკაშვილი (ბელქანია 41), ჩილაჩავა (თეთრაშვილი 54), ვ. მაისურაძე (ს. მაისურაძე 62), მიქაუტაძე, ნემსაძე, ბერიშვილი (თხილაიშვილი 19), ბინაძე.

ლელო: ჩილაჩავა.
ჯარიმო: ნიკლაური.
გარდასახვა: ნიკლაური.
სინბინი: მიქაუტაძე.

**სამხრეთ აფრიკა**

(15-9) ფან ვეიკი (ვატერმეიერი 47), ელშონ ბოკი, სლოუ, ენგელბერხტი, სპეკმანი, ბესუიდენჰაუტი, ნიოკა (ნტანდა 79). (1-8) კოხი, ჰერნე (კონსტანტი 14, ესპახი 76), ესპახი (დრეიერი 54), ფან დერ ვალტი, სნეიმანი (მტიანდა 79), ბოუერი, კასიმი, 8. ბოთმა.

2 ლელო: სპეკმანი, ფან დერ ვალტი.
3 საჯარიმო: ბესუიდენჰაუტი.
გარდასახვა: ბესუიდენჰაუტი.
სინბინი: ფან დერ ვალტი.
მსაჯი: პიტერ ფითსგიბონი (ირლანდია).

„თბილისის თასის" პირველი გათამაშება სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრებმა მოიგო. ბოლო ტურის მატჩში ამ გუნდს საქართველოს ნაკრებთან ერთი პრემიალური ქულის ალებაც ყოფნიდა. თუმცა, ვინაიდან ჩვენი ისედაც გადახალისებული ნაკრები, მეორე ტურის შემდეგ კიდევ რამდენიმე მოთამაშემ დატოვა, სამხრეთაფრიკელთა საბოლოო გამარჯვების შანსი გაიზარდა.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების წამყვანი მოთამაშეები არგენტინაში სამი დღის წინათ გაემგზავრნენ. **დავით ზირაქაშვილი, ვიქტორ კოლელიშვილი** (ორივე-კლერმონი), **გიორგი ჩხაიძე** (ტარბი), **შალვა სუთიაშვილი** (მასი) და **გიორგი ბეგაძე** (ბათუმი) უკვე სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე არიან და დანარჩენებს იქ დაელოდებიან. მათთან ერთად „პუმებთან" საასპარეზოდ გაემგზავრნენ **ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე** (ორივე-ტულუზი) და **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი), რომლებსაც „თბილისის თასზე" არ უთამაშიათ.

*„ბიჭებმა ბოლომდე თავდადებით ითამაშეს. მე კმაყოფილი ვარ. მას შემდეგ, რაც გუნდი ძირითადის რამდენიმე მოთამაშემ დატოვა და არგენტინაში გაემგზავრა, ყველას ეგონა, რომ სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები იოლად, დიდი ანგარიშით დაგვამარცხებდა. ასე არ მოხდა."* - თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა.**

არგენტინაში გამგზავრებული მოთამაშეების გარდა, ტრავმების გამო „ბორჯღალოსნებს" კაპიტანი **ირაკლი მაჩხანელი,** მგეზავი **ლაშა ხმალაძე** და შუამარბი **თედო ზიბზიბაძე** დააკლდათ. მიუხედავად ამისა, ჩვენი გუნდი საკმაოდ ოსტატურად მობურთალ მეტოქესთან შედარებით ცუდად არ გამოიყურებოდა.

ხარვეზი ქართველი მორაგბეების თამაშში ისევ ხშირი ჯარიმები იყო, ამას ისიც დაერთო, რომ მატჩში 13 საკუთარი აუტი წავაგეთ, აქედან რვა პირველ ტაიმში. ცხადია, ამან ძალზედ დიდი დალი დაასვა ჩვენი გუნდის გარჯას. იმის სანაცვლოდ, რომ შეტევის ორგანიზებით ვყოფილიყავით დაკავებული, ბურთს მეტოქეს ვუთმობდით და დაცვაში დგომა გვიწევდა. მოწინააღმდეგემ ეს რამდენჯერმე გამოიყენა კიდეც და მონაგარს ნელ-ნელა ზრდიდა. საბოლოოდ, მატჩი სწორედ დერეფანში ცუდი თამაშის გამო წავაგეთ.

მატჩი ჩვენთვის არასასურველი სცენარით დაიწყო. საწყის ხუთ წუთში აფრიკელებმა სახიფათოდ შემოგვიტიეს და ორი საჯარიმოს დარტყმის უფლება გამოიმუშავეს. სტუმართა მგეზავმა ორვე კარგად გამოიყენა და თავისი გუნდი 6:0 დააწინაურა.

„ბორჯღალოსნებმა" პირველი წუთების დაბნეულობა მალე გადალახეს და მეტოქეს საპასუხო იერიშები შესთავაზეს. მე-11 წუთზე ჩვენმა გუნდმა ანგარიშის შემცირება შეძლო. გარემარბად მოთამაშე **ბექა ნიკლაურმა** საჯარიმო 46 მეტრიდან გაიტანა. ამ დროს ჩვენი გუნდი რიცხობრივ უმცირესობაში იყო, რადგან დაგვიანებული ბოჭვისთვის არბიტრმა საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი **კონსტანტინე მიქაუტაძე** გაასინბინა.

მალე იგივე შეცდომა სამხრეთაფრიკელთა მეორეხაზელმა **ედვინ ფან დერ ვალტმა** დაუშვა და მინდორზე მოთამაშეთა რაოდენობა გათანაბრდა. ეს ფაქტორი „ბორჯღალოსნებმა" შესანიშნავად გამოიყენეს და მეტოქეს ლელო გაუტანეს.

საჯარიმო მგეზავმა **ლაშა მალაღურაძემ** აუტში გადაიტანა. მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 22 მეტრში ჩვენმა მორაგბეებმა დერეფანი როგორც იქნა მოიგეს, მოლი შეკრეს, მძლავრი ბიძგებით წინ საკმაოდ სწრაფად წაიწიეს და ლელოში შეაღწიეს. ბოლოს ბურთით ხელში შერკინების ბურჯი **ლევან ჩილაჩავა** იყო. ნიკლაურმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 10:6.

მოვლენათა ასეთ განვითარებას, სამხრეთაფრიკელების გარდა არავინ ელოდა. ისინი მასპინძელთა კადნიერებამ არ დააბნია და უკვე მომდევნო შეტევისას ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება მოახერხეს. „ბორჯღალოსნებმა" ისევ თამაშის წესი დაარღვიეს. სტუმართა მგეზავმა **კარლ ბესუიდენჰაუტმა** საჯარიმო კიდევ ერთხელ დაარტყა ზუსტად - 9:10.

ექვს წუთში საქართველოს ნაკრებმა ისევ აღადგინა ოთხქულიანი უპირატესობა. ნიკლაურმა საჯარიმო კიდევ ერთხელ გაიტანა - 13:9. თამაშის მიმდინარეობას ისეთი პირი უჩანდა, რომ „ბორჯღალოსნები" ანგარიშში კიდევ უფრო უნდა დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ დერეფანში დაშვებულმა რამდენიმე შეცდომამ უკუშედეგი გამოიღო.

პირველი ტაიმის დასრულებას ორიოდ წუთი აკლდა, როცა სამხრეთაფრიკელებმა დერეფანი ჩვენი ჩათვლის მოედნიდან 25 მეტრში მოიგეს. რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ სტუმართა გარემარბმა და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის საუკეთესო მოთამაშემ, **როსკო სპეკმანმა** „ბორჯღალოსნების" დაცვის ხაზი 22-მეტრიან ზონასთან გაჭრა, გზად კიდევ ორი ჩვენებური დატოვა უსაქმოდ და ლელოში შეაღწია. ბესუიდენჰაუტმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 16:13. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა თამაში აქტიურად დაიწყო და ხუთ წუთში ანგარიშის გათანაბრება შეძლო. საჯარიმო ისევ ნიკლაურმა გაიტანა - 16:16. სამწუხაროდ, თამაშის დასრულებამდე დარჩენილ 35 წუთში „ბორჯღალოსნებმა" საკუთარი მონაგრის გაზრდა ვერაფრით შეძლეს. არადა, ამის საშუალება არაერთხელ მიეცათ.

გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი ლელო სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრებმა მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე გაიტანა. სტუმრებმა მოკლე დარტყმებითა და იერიშის მიმართულების ხშირი ცვლის წყალობით, ჩვენი დაცვის ხაზი გაწელეს, მარცხენა ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა შექმნეს და ლელოში მეორეხაზელმა ედვინ ფან დერ ვალტმა შეაღწია. ბესუიდენჰაუტმა გარდასახვა არაზუსტად დაარტყა - 21:16. მასვე ოთხ წუთში ანგარიშის გაზრდის შესანიშნავი საშუალება მიეცა, მაგრამ 20 მეტრიდან საჯარიმო ვერ გაიტანა.

თამაშის მიწურულს საქართველოს ნაკრებს მატჩის გადარჩენის კარგი შანსი ჰქონდა. ჩვენმა მორაგბეებმა ისევ დერეფნიდან აგორებული მოლით სცადეს მეტოქის ლელოში შეღწევა. სამხრეთაფრიკელებმა ქართველების მიძალება ჩათვლის მოედნიდან ორ მეტრში შეაჩერეს.

ანგარიში თამაშის ბოლომდე აღარ შეცვლილა. მატჩში გამარჯვება და „თბილისის თასიც" სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრებს დარჩა. დაჯილდოების ცერემონიალი გამარჯვებულებმა ზეიმად აქციეს. გარემარბმა როსკო სპეკმანმა სამხრეთ აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის საბრძოლო რიტუალი შეასრულა, რასაც ამ ქვეყნის მრავალხმოვანი სიმღერა მოჰყვა.

საქართველოს ნაკრები დაჯილდოების ცერემონიალს არ დასწრებია, რადგან გუნდი „ავჭალის სარაგბო სტადიონიდან" პირდაპირ აეროპორტში გაემგზავრა და გეზი არგენტინისკენ აიღო.



სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები

## მატჩის შემდეგ

**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„დერეფანში ცუდად ვითამაშეთ. ბევრი აუტი წავაგეთ. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ხან შერკინების კვაჭი ვერ აგდებდა ბურთს სათანადოდ, ხანაც მხტომელები ვერ ირჯებოდნენ სწრაფად. ამით კარგად ისარგებლა მეტოქემ. მარცხის მიზეზად შეიძლება დერეფანში დაშვებული შეცდომებიც დასახელდეს. თამაშის ამ კომპონენტს ვარჯიშებზე ისევ მივუბრუნდებით, რათა მომავალში იგივე არ განმეორდეს.*

*ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ზედმეტად ხშირად ვჯარიმდებით. თხუთმეტჯერ თამაშის წესის დარღვევა ბევრია. აქედან ათჯერ რაკში თამაშისას დავჯარიმდით. ეს ის შემთხვევაა, როცა მსაჯზე ხარ დამოკიდებული, ის წყვეტს, რაზე დაგაჯარიმოს და რის გამო არა. ერთი სიტყვით, ამ პრობლემაზე ბევრი სამუშაო გვაქვს. მიზნად უნდა დავისახოთ, რომ მატჩში ჯარიმების რაოდენობამ ათს არ გადააჭარბოს.*

*ჩვენ გვინდოდა ტურნირზე კარგი თამაში გვეჩვენებინა. ეს შეჯიბრება გუნდების განვითარებისთვისაა მოგონილი და კარგი შესაძლებლობაა, რაც შეიძლება ბევრი მოთამაშე ნახო საქმეში. ჩვენს ნაკრებში სულ რამდენიმე მორაგბე იყო, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში სისტემატიურად ასპარეზობენ, მიუხედავად ამისა, ცუდად არ გამოვიყურებოდით. სამხრეთ აფრიკას ტესტების გამართვის 121-წლიანი ისტორია აქვს. ჩვენ კი, ამ ასპარეზზე 20 წელიწადიც არაა რაც გავედით.*

*„თბილისის თასზე" ნაკრების ბევრ მოთამაშეზე შემეცვალა აზრი. ვნახე ისეთები, რომლებსაც სამომავლოდ მეტად ვენდობი. მათ გვარებს ახლა არ დავასახელებ. არიან ისეთი მოთამაშეებიც, რომლებმაც დამანახვეს, რომ მათზე უკეთესი მორაგბეები სხვები არიან."*

**სიმონ მაისურაძე,** საქართველოს ნაკრების კვაჭი:

*„ძალიან სასარგებლო ტურნირი იყო. ბევრი ახალი მოთამაშე გამოიცადა. პირადად ახალბედა არ ვარ, მაგრამ ახალ პოზიციაზე ვთამაშობ და ეს ტურნირი ჩემთვის დებიუტივით იყო. მადლობა მინდა გადავუხადო ნაკრების მწვრთნელთა შტაბს, რომელმაც შანსი მოგვცა ჩვენი შესაძლებლობები გამოგვევლინა"*

**ჯიმი სტოუნჰაუზი,** სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელი:

*„საქართველოს ნაკრები ფიზიკურად ძლიერი გუნდია, ამიტომ რთულ თამაშს ველოდით. კარგი იქნებოდა მასპინძლებს სრული შემადგენლობით ეთამაშათ. გვაინტერესებდა ის ბიჭები, რომლებიც „თბილისის თასზე" საასპარეზოდ ჩამოვიყვანეთ, როგორ შეძლებდნენ იმ მოთამაშეებთან გამკლავებას, ვისაც მსოფლიოს თასზე უთამაშია და მომავალშიც ითამაშებენ. ვფიქრობ, მათთან პაექრობა უფრო საინტერესო იქნებოდა."*

16.06. თბილისი. ავჭალა.

ურუგვაი 33

ირლანდია 42

**ურუგვაი**

5 (15-9) ეჩევერი (გონსალესი 53), გუბერნაუ, ლევიასი, რომანი, ბუენო, პრადა, დურანი (ალვანელი). (1-8) კორალი (დე მულა 51), ავალო (კლაპენვახი 51), საგარიო (ივარვურუ 76), ესპიგა (კორონელი 69), ლამანა, დე ფრეიტასი, ვასკოუ (ტასისტრო 51), გამინარა.

5 ლელო: გამინარა, ტასისრო, ალვანელი, რომანი, ლამანა.
4 გარდასახვა: ეჩევერი, პრადა (3)

**ირლანდია**

(15-9) კირნი (ნელსონი 51), მორისი, გრიფინი, რიდი (ალენი 23), ოჰალორანი, ქითლი, ქუნი (ჰინი 35). (1-8) მაკგრატი (ლუთონი 51), ჰერინგი (ენეთი 51), ბენტი, ოკალაჰანი, ფოლი (ნეგლი 51), რადოკი, მერფი, მაკქოენი (რაიანი 58).

6 ლელო: ქითლი (2), ოჰალორანი, მორისი (2), ენეთი.
6 გარდასახვა: ქითლი.
მსაჯი: ვლად იორდანესკუ.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამხ. აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | +44 | 13 |
| 2. ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | +3 | 9 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | +14 | 6 |
| 4. ურუგვაი | 3 | 0 | 0 | 3 | -61 | 1 |


მატჩის საუკეთესო მოთამაშე თამაზ მჭედლიძე

**ბესიკ ჯანგავაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


ფილ ჯექსონი

# დაბრუნება თავის მოტყუება იქნება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** ისაუბრა იმის შესახებ, თუ რატომ არ აპირებს NBA-ის რომელიმე კლუბის გაწვრთნას. თუმცა მან ისიც დაადასტურა, რომ სიამოვნებით იმუშავებდა გუნდში ხელმძღვანელ პოსტზე.

„ხანდახან მეჩვენება, რომ ჯერ ისევ შემიძლია მწვრთნელად მუშაობა, მაგრამ რეალობა ასეთია - უბრალოდ, საკუთარ თავს ვატყუებ. ჩემი ბოლო სეზონი ერთგვარად ჯერი ბასისთვის ხათრის გაწევა იყო. მაგრამ, როცა კარიერა დავასრულე, კარგად ვიცოდი, რომ ის ჩემი უკანასკნელი სეზონი იყო - ვეღარ გავუძლებდი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ უკვე გადატანილი მქონდა მუხლზე ოპერაცია და თავს კარგად ვგრძნობდი. ასე რომ, სამწვრთნელო სამუშაოზე ჩემი დაბრუნება არ მოხდება.

ამასთან, მზად ვარ კლუბის ოფისში სამუშაოდ. „ლეიკერსს" ახლა კრიზისი აქვს და თუ ისინი მთხოვენ მისვლას და უბრალოდ, მათი აზრის გაგებას კლუბში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მზად ვარ ეს გავაკეთო", - ამბობს ჯექსონი „ლოს ანჯელეს თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში.


ეს ტრიო კლიპერსს უნდა

# კლიპერსი ტრიოს უმიზნებს

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ, შესაძლოა, „ბოსტონ სელტიქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვოს **დოკ რივერსმა**. მაშინ დასახელდა ამ სპეციალისტის მომავალი სავარაუდო სამუშაო ადგილი - „ლოს ანჯელეს კლიპერსი".

ამჯერად, უფრო შორს წავიდა ESPN-ის მიმომხილველი **მარკ სტაინი**, რომელმაც დაწერა, რომ რივერსთან ერთად, კალიფორნიულ კლუბში შეიძლება ვიხილოთ „კელტების" ორი ვეტერანი ლიდერი - **კევინ გარნეტი და პოლ პირსი**.

„სელტიქსმა" 30 ივნისამდე უნდა გაარკვიოს - დარჩება თუ არა გუნდში პირსი, რომელსაც თავის ამჟამინდელ კლუბთან 2013-14 წლების სეზონის ბოლომდე აქვს კონტრაქტი. გარნეტი, რომელსაც ჯერ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია თავისი მომავალი კარიერის შესახებ, ადრე აღნიშნავდა, რომ მისი გადაწყვეტილება, დიდწილად პირსის სიტუაციის მოგვარებასთან იქნებოდა დამოკიდებული.

ასე რომ, უახლოესი ორი კვირა სიცხადეს შეიტანს ამ საქმეში.


ანდრე იგუოდალა

# იგუოდალა დენვერს ტოვებს

„დენვერ ნაგეტსის" ფორვარდმა **ანდრე იგუოდალამ** გამოაცხადა, რომ კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე სურს თავისი ამჟამინდელი გუნდის დატოვება.

„ჩვენ კარგად ვიცით ანდრეს გეგმების შესახებ და ისიც არის ინფორმირებული იმაზე, თუ როგორ გვსურს მისი დაბრუნება. იგუოდალა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი გუნდისთვის", - ამბობს „ნაგეტსის" ოფიციალური წარმომადგენელი.

ამჟამად, სიტუაცია ასეთია: იგუოდალას 15.9 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს იმისთვის, რომ სხვა კლუბთან კონტრაქტის გაფორმების უფლება მიიღოს, ხოლო მეორე ვარიანტია „დენვერთან" ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორება.

ერთ-ერთი ინფორმაციის თანახმად, იგუოდალაზე პრეტენზიას აცხადებენ: „ატლანტა", „კლივლენდი", „დალასი", „ჰიუსტონი", „დეტროიტი" და „ნიუ ორლეანი".

ჰოკეი. NHL ფინალი

# ჩიკაგო ვერ გაიქცა

მეორე მატჩის წინ გავრცელებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, ის გუნდები, რომლებიც ფინალური სერიის პირველ ორ შეხვედრას შინ იგებდნენ, 91.5 პროცენტის შემთხვევაში ხდებოდნენ სტენლის თასის მფლობელები. ასე რომ, ბოსტონელებს გუშინ, მხოლოდ მოგებაზე უნდა ეფიქრათ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ სტენლის თასის ფინალში ორი მატჩის შემდეგ ანგარიში - 1:1 2004 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა.

კიდევ ერთი აქტუალური წინასამატჩო თემა იყო „ბოსტონის" ფორვარდის **ნათან ჰორტონის** ტრავმა. ექიმები თითქოს უკრძალავდნენ თავდამსხმელს მოედანზე გასვლას, მაგრამ ჰორტონმა გამოაცხადა, რომ წესრიგში იყო და ამიტომაც, პარტნიორების დახმარება გადაწყვიტა.

თამაშის დასაწყისმა წინასამატჩო სტატისტიკური ინფორმაცია დაამტკიცა - „ჩიკაგო" თავიდანვე დაეუფლა დიდ უპირატესობას. „ბლეკჰოქსმა" უამრავი სამუშაო გაუჩინა „ბოსტონის" მეკარე **ტუუკა რასკს**, რასაც ხელი შეუწყო „ბრუინზის" მცველის **ფერენსის** გაძევებამ. მასპინძლების უპირატესობა გოლში გადაიზარდა - **პატრიკ შარპმა** მახვილი კუთხიდან ზუსტი დარტყმით დაასრულა „ჩიკაგოს" შტურმი. ასეთი თამაშით „ბრუინზს" უბრალოდ შანსი არ ჰქონდა მატჩში.

მარტო შარპმა პირველ პერიოდში ექვსჯერ შეაწუხა რასკი თავისი დარტყმებით („ბოსტონმა" კი პირველ 20 წუთში მხოლოდ ოთხჯერ დაარტყა ზუსტად), ხოლო თუ ერთად ავიღებთ ზუსტი და აცილებული დარტყმების რაოდენობას, „ჩიკაგოს" ექვსმაგი (!) უპირატესობა ჰქონდა.

მაგრამ, თანდათან, **კლოდ ჟულიენის** შეგირდებმა თამაში მშვიდ ტემპში გადაიყვანეს. მეტოქის „დაწყნარებაში" ერთ-ერთი მთავარი როლი რასკმა შეასრულა, რომელიც ძალიან საიმედოდ მოქმედებდა (ფინელმა ამ მატჩში 34 დარტყმა მოიგერია). იყო მსაჯების საკამათო გადაწყვეტილებებიც. მაგალითად, პირველი პერიოდის შუაში **მარიან ჰოსამ** მეორე გოლი გაიტანა, როცა ბრძოლაში ახლო მანძილიდან შეაცურა შაიბა კარში, მაგრამ მსაჯებმა სლოვაკის მხრიდან მეკარეზე თავდასხმა დააფიქსირეს.

„ბოსტონმა" ანგარიში მეორე პერიოდის ბოლოს გაათანაბრა, როცა პეიეს დარტყმულს დაამატა. ინიციატივა „დათვების" მხარეს გადავიდა და სტუმრებს ეს სათამაშო უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. ვეტერან **იაგრს** ერთი მეორის მიყოლებით გაჰყავდა დასარტყმელ პოზიციაზე **მარჩანდი და ხარა**, ხოლო ოვერტაიმის დასაწყისში ბრწყინვალე ჩეხის დარტყმული ძელმა მოიგერია. იარომირმა ვერ გაიტანა, სამაგიეროდ, შეხვედრას წერტილი სტუმრების მეოთხე შემტევი სამეულის წევრმა **პეიმ** დაუსვა.

ასე რომ, პირველად ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, ფინალურ სერიაში დაფიქსირდა ანგარიში - 1:1 და ზედიზედ მეორე წელია ფინალის პირველ ორ მატჩში ოვერტაიმი ითამაშეს. საერთო ჯამში, ამ ორ შეხვედრაში გუნდებმა მოედანზე 185 წუთზე მეტი გაატარეს, რაც იმას ნიშნავს, რომ გულშემატკივრებმა ბონუსის სახით, ერთი სრული ზედმეტი მატჩი იხილეს.

| ჩიკაგო-ბოსტონი | 1:2 (ო) |
|---|---|

1:0, 0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 შარპი-9 (პ. კეინი-9, ჰანზუში-8), 1:1 კ. კელი-1 (პეი-4), 1:2 პეი-3.

**სერია:** 1-1


ბოსტონი გამარჯვებას ზეიმობს

# MVP ოვეჩკინია

როგორც უკვე ვწერდით, ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობას ფინალური სერიის მეორე მატჩის წინ უნდა გამოეცხადებინა 2012-13 წლების სეზონის ლაურეატები.


ალექსანდრ ოვეჩკინი

ინდივიდუალური პრიზები შემდეგნაირად გადანაწილდა:

„ვაშინგტონის" ფორვარდი **ალექსანდრ ოვეჩკინი** - „ჰარტ მემორიალ ტროფის" მფლობელი (სეზონის უძვირფასესი მოთამაშე);

„პიტსბურგის" ფორვარდი **სიდნი კროსბი** - „ტედ ლინდსეი ტროფი" (საუკეთესო მოთამაშე ჰოკეისტთა ვერსიით);

„მონრეალის" მცველი **პი კეი საბენი** - „ნორის ტროფი" (საუკეთესო მცველი);

„კოლამბუსის" მეკარე **სერგეი ბობროვსკი** - „ვეზინა ტროფი" (საუკეთესო მეკარე);

„ფლორიდას" ფორვარდი **ჯონათან იუბერდო** - „კოლდერ ტროფი" (საუკეთესო ახალბედა);

„ტამპა ბეის" ფორვარდი **მარტინ სან ლუი** - „ლედი ბინგ ტროფი" (ჯენტლმენი ყინულზე);

„ჩიკაგოს" ფორვარდი **ჯონათან ტეივზი** - „სელკე ტროფი" (დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდი);

„ოტავას" მთავარი მწვრთნელი **პოლ მაკლინი** - „ჯეკ ადამს ტროფი" (საუკეთესო მწვრთნელი);

„მინესოტას" მეკარე **ჯოშ ჰარდინგი** - „ბილ მასტერტონ ტროფი" (ჰოკეისადმი ერთგულება);

„პიტსბურგის" ხელმძღვანელი **რეი შერო** - წლის გენერალური მენეჯერი.

„ბოსტონის" ფორვარდი **პატრის ბერჟერონი** „კინგ კლენსი ტროფის" მფლობელი გახდა. ეს ჯილდო გადაეცემა მოთამაშეს, რომელიც ლიდერის თვისებებს ავლენს როგორც ყინულზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ის აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„დეტროიტის" კაპიტანმა **ჰენრიკ ზეტერბერგმა** NHL-ის პრიზი მიიღო ქველმოქმედებისთვის;

„ოტავას" კაპიტან **დანიელ ალფრედსონს** გადაეცა მარკ მესიეს პრიზი, რომლითაც ფასდება მოთამაშე ლიდერის თვისებების გამოჩენისთვის.

მძლეოსნობა

# სკანდალი იამაიკურად

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, იამაიკელი **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნის** სისხლში აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინეს.

დოპინგზე ტესტი კემპბელ-ბრაუნმა 4 მაისს ჩააბარა - ტურნირ Jamaica Invitational Meet-ის მსვლელობის დროს. „A სინჯმა" გამოავლინა პრეპარატ დიურეტიკის კვალი. ეს არის პრეპარატი, რომელიც დოპინგის შენიღბვისთვის გამოიყენება. კერძოდ, დიურეტიკს იყენებენ ორგანიზმიდან ზედმეტი სითხის გამოსაყოფად, რაც ამცირებს რაიმე მასტიმულირებელი პრეპარატის აღმოჩენის შანსს. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი ნივთიერებები აკრძალულია მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ.

როგორც ვარაუდობენ, მძლეოსნობის ფედერაციების საერთაშორისო ასოციაცია ამ საქმესთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას მომავალი კვირის დასაწყისში გამოაცხადებს.

ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია 200 მეტრზე სირბილში. ის იამაიკის ყველაზე ტიტულოვანი ქალი მძლეოსანი გახლავთ. 2004 წლის ოლიმპიადაზე მან მოიგო 200 მეტრი და 4x100 მეტრზე ესტაფეტა. 2008 წლის ოლიმპიადაზე - 200 მეტრზე გარბენი. სულ მას მიღებული აქვს მსოფლიოს ჩემპიონატის 9 მედალი, მათ შორის ორი ოქროსია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ფედერერი მაკინროის გვერდით

**როჯერ ფედერერს** ზუსტად ხუთთვენახევარი დასჭირდა იმისთვის, რომ სეზონში პირველი ტიტული მოეპოვებინა. მან ეს თავის საყვარელ ტურნირზე - გერმანიის ქალაქ ჰალეს Gerry Weber Open-ზე გააკეთა.

ფინალში ლეგენდარულ შვეიცარიელს მოხერხებული მეტოქე ჰყავდა რუსი **მიხაილ იუჟნის** სახით. ფედერერს ეს ჩოგბურთელი 14-დან 14 მატჩში ჰყავდა დამარცხებული და გააგრძელა ეს სერია. თუმცა იუჟნის ეტყობოდა, რომ კარგად იყო მზად ჰალეს ტურნირისთვის - ფინალამდე რამდენიმე ძლიერი მოთამაშე დაამარცხა, მათ შორის, ნახევარფინალში ფრანგი **რიშარ გასკე**, რომელსაც მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო.

რუსის კარგი ფორმა პირველ სეტში გამოჩნდა. მართალია, ფედერერი ფლობდა მცირე უპირატესობას და ხუთი ბრეიკ-პოინტიც მოიპოვა, მაგრამ ვერც ერთი შანსი ვერ გამოიყენა და ტაი-ბრეიკზე წააგო. საინტერესოა, რომ როჯერისა და მიხაილის ურთიერთშეხვედრებში ეს იყო რუსის მიერ აღებული მხოლოდ მეოთხე სეტი.

მეორე და მესამე სეტებში კი ყველაფერი თავის ადგილას დადგა. ფედერერმა მეორე პარტიაში მხოლოდ ოთხი უნებლიე შეცდომა დაუშვა და მერვე გეიმში გაკეთებული ბრეიკით მოიგო, გადამწყვეტ სეტში კი ყველაფერი მაშინ დასრულდა, როცა ფედერერმა მეშვიდე გეიმში აიღო მეტოქის მოწოდება - 6:7(5), 6:3, 6:4. შეხვედრა ორ საათზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა.

ფედერერმა მეექვსედ მოიგო ჰალეს ტურნირი, კარიერაში კი 77-ე ტიტული მოიპოვა. სხვათა შორის, წინა ხუთ შემთხვევაში, როცა შვეიცარიელი გერმანიაში იმარჯვებდა, შემდეგ უიმბლდონის მოგებასაც ახერხებდა. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად.


როჯერმა ჰალე მეექვსედ მოიგო

სხვათა შორის, ATP-ის ტურში 77 გამარჯვებით, ფედერერი ყველა დროის სიაში გაუთანაბრდა მესამე ადგილზე მყოფ **ჯონ მაკინროის**. ახლა, შვეიცარიელზე მეტი ტიტული მოგებული აქვთ მხოლოდ **ივან ლენდლსა** (94) და **ჯიმი კონორსს** (109).

■ ■ ■

ასევე ფავორიტმა გაიმარჯვა ლონდონში, „ქუინზ ქლაბის" ტურნირზე. და აქაც, ფინალის წინ, ერთ მეტოქეს მეორეზე დიდი უპირატესობა ჰქონდა ურთიერთშეხვედრებში: **ენდი მარეის** ათ მატჩში ცხრა ჰქონდა მოგებული **მარინ ჩილიჩის** წინააღმდეგ. ბრიტანელი და ხორვატი წელს ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს - მაიამის „მასტერსის" მეოთხედფინალში და მაშინ ენდიმ მოიგო.

პირველ სეტში მარეის მხოლოდ საწყის გეიმში ჰქონდა ბრეიკის აღების შანსი, მაგრამ ჩილიჩმა 15:40-დან გადაარჩინა საკუთარი მოწოდება, მე-11 გეიმში კი ხორვატმა გააკეთა პირველი ბრეიკი და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტი პირველს ჰგავდა. აქაც, დიდი ხანი თანაბარი ბრძოლა მიდიოდა და მე-12 გეიმში მასპინძელმა შეძლო მეტოქის მოწოდების აღება. შარშანდელმა ჩემპიონმა ჩილიჩმა ვერც გადამწყვეტ სეტში მოახერხა ბრეიკის გაკეთება, მეოთხე გეიმში საკუთარი მოწოდება ვერ შეინარჩუნა და 5:7, 7:5, 6:3 მოიგო. ეს იყო მარეის მესამე ტიტული ლონდონში.

1979 წლიდან მოყოლებული, ექვსმა მოთამაშემ შეძლო „ქუინზ ქლაბზე" მოგების შემდეგ უიმბლდონზე ტიტულის აღება: ჯონ მაკინროიმ (1981, 84), **ჯიმი კონორსმა** (1982), **ბორის ბეკერმა** (1985), **პიტ სამპრასმა** (1995, 99), **ლეიტონ ჰიუიტმა** (2002) და **რაფაელ ნადალმა** (2008).

# პირველი რუმინული და მეექვსე სლოვაკური


გამარჯვებული და ფინალისტი: ჰალეპი და პეტკოვიჩი

გასულ კვირას ორი ტურნირი გაიმართა ქალებს შორის - ერთი გრუნტზე და მეორე - ბალახზე. ნიურნბერგის გრუნტზე ფინალი შაბათს ჩატარდა, სადაც კარიერაში თავისი პირველი ტიტული მოიპოვა რუმინელმა **სიმონა ჰალეპმა**. ეს ამ უკანასკნელისთვის WTA-ის ტურში მეოთხე ფინალი იყო და წინა სამი ისე ჰქონდა წაგებული, რომ სეტიც ვერ მოიგო.

ჰალეპმა ნავსი გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩის** წინააღმდეგ გატეხა. რუმინელმა ცხრიდან ცხრა საკუთარი გეიმი აიღო, სამი ბრეიკი გააკეთა და საკმაოდ იოლად - 6:3, 6:3 მოიგო. გამარჯვებულმა განსაკუთრებით კარგად მნიშვნელოვან მომენტებში ითამაშა - პეტკოვიჩის რვავე ბრეიკ-პოინტი მოიგერია.

ჰალეპი მერვე რუმინელია ისტორიაში, ვისაც WTA-ის ტიტული მოუგია. მანამდე ეს გააკეთეს: **ვირჯინია რუზიჩიმ, ირინა სპირლეამ, რუქსანდრა დრაგომირ ილიემ, სორანა კირსტეამ, ალექსანდრა დულგერუმ, ირინა-კამელია ბეგუმ** და **მონიკა ნიკულესკუმ**.

■ ■ ■

ბირმინგემის ბალახზე ვერ ვიხილეთ ქალთა ტურის წამყვანი ჩოგბურთელები, რამაც ფინალში თამაშის საშუალება მისცა 30 წლის სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასა** და 16 წლის ხორვატ **დონა ვეკიჩს**.

გამოცდილებისა და ახალგაზრდობის დუელში გამოცდილებამ გაიმარჯვა. ჰანტუხოვამ გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო სეზონში პირველი და კარიერაში მეექვსე ტიტულის მოპოვება. პირველ სეტში ყველაფერი ტაიბ-ბრეიკმა (7:5) გადაწყვიტა, მეორეში კი სლოვაკმა წარმატებას ბოლო, მეათე გეიმში შესრულებული ბრეიკის წყალობით მიაღწია - 7:6(5), 6:4. შეხვედრა საათი და 40 წუთი გრძელდებოდა.

კრივი

# ღარიბი უქმეები

გასულ უქმეებზე, კრივში ერთადერთი საჩემპიონო ორთაბრძოლა გაიმართა - ნახევრადმჩატე წონაში WBO-ის ტიტულისთვის იბრძოდნენ მექსიკური წარმოშობის 25 წლის ამერიკელი **მიგელ ანხელ „მაიკი" გარსია** და ამ წონაში ყოფილი ჩემპიონი, 29 წლის პუერტორიკოელი **ხუან მანუელ ლოპესი**.

ბრძოლა ფრთხილი შეტევებით დაიწყო, მაგრამ მეორე რაუნდში გარსიას მარჯვენა პირდაპირმა დარტყმამ ნოკაუტში გაგზავნა ლოპესი. მეოთხე რაუნდში პუერტორიკოელი გააქტიურდა, თუმცა იმის ნაცვლად, რომ ბრძოლა გაეთანაბრებინა, რამდენიმე ძლიერი დარტყმა გაუშვა და მარცხენა ჰუკის შემდეგ რინგზე აღმოჩნდა. ლოპესმა წამოდგომა მოახერხა, მაგრამ ფეხზე მყარად ვერ იდგა, რის გამოც რეფერიმ ბრძოლის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

მაგრამ გარსიამ მაინც ვერ მიიღო WBO-ის ტიტული, რადგან წინა დღეს, აწონვის ცერემონიისას წონაში ვერ ჩაეტია. საჩემპიონო ქამარი ნახევრადმჩატე წონაში ვაკანტური დარჩა.

■ ■ ■

ერთი შეხვედრა გაიმართა ბრიტანეთში - სუპერმძიმე წონაში დაუმარცხებელმა 18 წლის ბრიტანელმა **ჰიუი ფიურიმ** პროფესიულ რინგზე მეექვსე გამარჯვება იზეიმა. ცნობილი **ტაისონ ფიურის** უმცროსმა ძმამ ქულებით დაამარცხა ჩეხი სუპერმძიმეწონოსანი **ტომაშ მრაჟეკი**.



ლოპესი ნოკდაუნში მიდის

ექვსი გამარჯვების მოსაპოვებლად, უმცროს ფიურის სამ თვეზე ნაკლები დრო დაჭირდა. შემდეგ ბრძოლას ის 12 ივლისს ჩაატარებს.

შეგახსენებთ, ჰიუი ფიურიმ ამაწინ გამოაცხადა, რომ აპირებს დაამხოს ლეგენდარული **მაიკ ტაისონის** რეკორდი და გახდეს სუპერმძიმე წონაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

**მს. ჩემპიონატი**

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| ბოტსვანა-ც. აფრიკა | 3:2 |
| ეთიოპია-ს. აფრიკა | 2:1 |
| კაბო ვერდე-სიერა ლეონე | 1:0 |
| ეკ. გვინეა-ტუნისი | 1:1 |
| მაროკო-გამბია | 2:0 |
| ტანზანია-კოტ დ'ივუარი | 2:4 |
| ზამბია-სუდანი | 1:1 |
| ლესოტო-განა | 0:2 |
| კონგო-ბურკინა ფასო | 0:1 |
| გაბონი-ნიგერი | 4:1 |
| მოზამბიკი-ეგვიპტე | 0:1 |
| გვინეა-ზიმბაბვე | 2:0 |
| რუანდა-ალჟირი | 0:1 |
| მალი-ბენინი | 2:2 |
| კონგოს დრ-კამერუნი | 0:0 |
| უგანდა-ანგოლა | 2:1 |
| ლიბერია-სენეგალი | 0:2 |

**ევრო 2013**

**UNDER 21. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ნორვეგია | 3:0 |
| იტალია-ჰოლანდია | 1:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| გვატემალა-არგენტინა | 0:4 |
| ჩინეთი-ტაილანდი | 1:5 |

**იტალია**

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| ლეჩე-კარპი | 1:1 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| ლატინა-პიზა | 1:1 დ.დ. 3:1 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერია-ლას პალმასი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| ხირონა-ალკორკონი | 3:1 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-მიონდალენი | 3:0 |
| ბოდო გლიმტი-სტაბეკი | 2:1 |
| კონგსვინგერი-ფოლო | 4:0 |
| რანჰაიმი-ჰამ კამი | 0:3 |
| სტრომენი-კრისტიანსუნდი | 0:3 |
| ულ კისა-ჰიოდი | 1:1 |
| ვარდ ჰაუგესუნდი-ბრინი | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გეფლე-ოსტერსი | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოსტერსუნდი-ლიუნგსლიკე | 2:1 |
| ვარბერგსი-ფალკენბერგსი | 0:4 |
| დეგერფორსი-ჰამარბიუ | 0:1 |
| გაის-ლანდსკრონა | 3:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლაჰტი-როვანიემი | 0:0 |
| ჰონკა-ჰიკ | 1:0 |
| ინტერი-მიუპა | 0:0 |
| იუვიასკიულა-მარიეჰამნი | 3:2 |
| კუოპიო-იარო | 3:0 |
| ვაასა-ტურკუ | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პკვ5-ოულუ | 1:1 |
| ილვესი-კტპ | 0:0 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ფრამი-ტორი | 4:1 |
| ვიკინგური-ჰაფნარი | 0:4 |
| ფილკირი-ბრეიდაბლიკი | 0:1 |
| რეიკიავიკი-აკრანესი | 4:2 |
| სტიარნანი-კეფლავიკი | 1:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| სლიგო-უნივერსიტი | 5:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კობ რამბლერსი-უოტერფორდი | 0:2 |

**საბერძნეთი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ნიკი ვოლუ-ოლიმპიაკოსი (ვ) | 1:1 |
| ირაკლისი-პანაიტოლიკოსი | 2:1 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| დინამო (მნ)-ბატე | 1:2 |
| დინამო (ბ)-ბელშინა | 1:0 |
| სლავია-ნემანი | 1:0 |
| შახტიორი-ნაფტანი | 2:0 |
| ტორპედო-მინსკი | 2:1 |
| გომელი-დნეპრი | 0:0 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| ლევადია-კალიუ | 1:0 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| იეგლავა-ვენსპილსი | 1:2 |
| ილუკსტესი-სპარტაკსი | 1:3 |
| იურმალა-სკონტო | 0:5 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ეკრანასი-შიაულიაი | 2:1 |
| კრუოია-ატლანტასი | 2:0 |
| დაინავა-ტაურუსი | 2:1 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ტიგრე-ბელგრანო | 0:0 |
| ინდეპენდიენტე-სან ლორენსო | 0:1 |
| არგ. ხუნიორსი-კოლონი | 1:0 |
| სან მარტინი-ესტუდიანტესი | 2:0 |
| სანტა ფე-ველესი | 1:1 |
| ოლ ბოისი-რასინგი | 0:1 |
| ატ. რაფაელა-ნიუელსი | 0:3 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ლიგა დე ლოხა-დეპ. მაკარა | 0:0 |
| მანტა-უნ. კატოლიკა | 2:2 |
| ემელეკი-ლდუ დე კიტო | 0:1 |
| ელ ნასიონალი-დეპ. კიტო | 1:2 |
| ინდეპენდიენტე-ბარსელონა | 1:1 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| ნასიონალი-გუარანი | 0:2 |
| ლიბერტადი-დეპ. კაპიატა | 2:1 |
| პრეზიდენტე-ოლიმპია | 1:2 |
| დეპ. კარაპეგუა-ლუკენიო | 0:2 |
| სოლ დე ამერიკა-რუბიო ნუ | 1:0 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| მელგარი-ლეონი | 1:1 |
| ხოსე გალვესი-სან მარტინი | 1:2 |
| უნივერსიტარიო-სენსიანო | 0:0 |
| კომერსიო-სპორტი | 4:0 |
| სესარ ვალიეხო-კახამარკა | 2:1 |
| პასიფიკო-ინტი გასი | 1:0 |
| სპ. კრისტალი-ხუან აურიჩი | 1:0 |
| რეალი-ალიანსა ლიმა | 0:0 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| პორტლენდი-დალასი | 1:0 |
| დი სი იუნაიტედი-ტორონტო | 1:2 |
| კოლამბუსი-მონრეალი | 2:0 |
| კოლორადო-სან ხოსე | 1:2 |
| ვანკუვერი-ნიუ ინგლენდი | 4:3 |

## კალათბურთი

**ევროპასკეტი 2013**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ჩერნოგორია-სლოვაკეთი | 77:63 |
| სერბეთი-ბრიტანეთი | 68:76 |
| ლიტვა-ხორვატია | 77:89 |
| შვედეთი-იტალია | 63:64 |
| ბელარუსი-ჩეხეთი | 60:39 |
| უკრაინა-თურქეთი | 52:78 |
| ლატვია-საფრანგეთი | 39:62 |
| ესპანეთი-რუსეთი | 77:72 |
| ხორვატია-ბელარუსი | 43:57 |
| სლოვაკეთი-უკრაინა | 75:68 |
| ბრიტანეთი-ლატვია | 69:56 |
| თურქეთი-ჩერნოგორია | 66:57 |
| ჩეხეთი-ლიტვა | 70:51 |
| იტალია-ესპანეთი | 59:71 |
| საფრანგეთი-სერბეთი | 76:32 |
| რუსეთი-შვედეთი | 57:68 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| რეტიმნო-პანიონიოსი | 61:71 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მონტეპასკი-რომა | 89:81 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ოლდენბურგი | 91:88 (ო) |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-რეალი | 73:62 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი-ბანვითი | 76:58 |

## ჩოგბურთი

**ATP. ჰალე**

| | |
|---|---|
| ფედერერი-ჰაასი | 3:6, 6:3, 6:4 |
| იუჟნი-გასკე | 6:3, 6:2 |
| ფედერერი-იუჟნი | 6:7, 6:3, 6:4 |

**ATP. ლონდონი**

| | |
|---|---|
| ჰიუიტი-ჩილიჩი | 4:6, 6:4, 2:6 |
| მარეი-ცონგა | 4:6, 6:3, 6:2 |
| მარეი-ჩილიჩი | 5:7, 7:5, 6:3 |

**ATP. ჰერტოგენბოში**

| | |
|---|---|
| ლ. მაიერი-ჰაასე | 6:4, 1:6, 4:6 |

**WTA. ნიურნბერგი**

| | |
|---|---|
| ჰალეპი-პეტკოვიჩი | 6:3, 6:3 |

**WTA. ბირმინგემი**

| | |
|---|---|
| ლისიცკი-რისკე | 6:7, 6:2, 4:6 |
| რიბარიკოვა-ვეკიჩი | 6:7, 6:1, 3:6 |
| რისკე-ჰანტუხოვა | 7:5, 1:6, 4:6 |
| ჰანტუხოვა-ვეკიჩი | 7:6, 6:4 |

**WTA. ჰერტოგენბოში**

| | |
|---|---|
| ბერტენსი-მედინა გარიგესი | 1:6, 2:6 |
| უ. რადვანსკა-გოვორცოვა | 6:2, 6:0 |
| კრაიჩეკი-სოლერ ესპინოსა | 7:5, 6:4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



ფერარის ორი ლეგენდა: შუმახერი და გონსალესი

# ფერარის დიდი დანაკლისი

სამწუხარო ამბავი შეიტყვეს „ფერარის“ გუნდის წევრებმა და გულშემატკივრებმა. 90 წლის ასაკში გარდაიცვალა „სკუდერიას“ შემადგენლობაში პირველი გრანპრის მომგები, არგენტინელი **ხოსე-ფროილან გონსალესი.**

1951 წელს, ბრიტანეთის „სილვერსტოუნში“ გონსალესის გამარჯვებამ სათავე დაუდო „ფერარის“ დიად ისტორიას ფორმულა 1-ში. 1954 წელს, ხოსე-ფროილანმა მოიგო „ლე მანის 24-საათიანი“ რბოლა. არგენტინელმა ბოლო გრანპრი კარიერაში 1960 წელს ჩაატარა, როცა მეათე ადგილზე გავიდა საშინაო რბოლაში.

გონსალესის სიკვდილის შემდეგ, ფორმულა 1-ის გრანპრის ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებულია **ჯეკ ბრებემი,** რომელიც ამჟამად 87 წლისაა.

# 4-მილიონიანი ქორწილი

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** ქალიშვილი **ტამარა** ცოლად გაჰყვა ყოფილ ბრიტანელ საბირჟო ბროკერს **ჯეი რატლენდს**. 28 წლის ტამარასა და 33 წლის ჯეის ქორწილი ფრანგულ რივიერაზე შედგა. წყვილისთვის და მათი სტუმრებისთვის მთლიანად დაიქირავეს ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო - Grand-Hotel du Cap-Ferrat.

სტუმრებს შორის ბევრი სახელგანთქმული ბრიტანელი იყო. მათ თავიანთი გამოსვლებით ართობდნენ **ელტონ ჯონი** და **ლაიონელ რიჩი.**

პრესის ინფორმაციით, ექლსტოუნების ოჯახს ქორწილი 4.6 მილიონი ევრო დაუჯდა. თუმცა ეს თანხა იმაზე ნაკლებია, რაც 2011 წელს ტამარას უმცროსის - **პეტრა ექლსტოუნის** ქორწილის გადახდას დასჭირდა. მაშინ, ბერნიმ და მისმა ყოფილმა ცოლმა **სლავიკამ 22** წლის პეტრას ქორწილისთვის 12 მილიონი ევრო დახარჯეს.

ტამარა ექლსტოუნის მეუღლე უმწიკვლო რეპუტაციით ნამდვილად არ სარგებლობს. გასული წლის ივლისში, ბრიტანეთის ფინანსური სამსახურის სამმართველომ ჯეი რატლენდს საფინანსო სფეროში ნებისმიერი მოღვაწეობა აუკრძალა, რისი მიზეზიც გახდა არაკეთილსინდისიერება და გარიგებებისას კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა. უფრო ადრე ის Deutsche Bank-დან დაითხოვეს კოკაინის რეალიზაციის ბრალდებით.



ტამარა ექლსტოუნი თავის რჩეულთან ერთად

ფორმულა 1

# William Hill: ფეტელი თითქმის ჩემპიონია

ბრიტანული საჯინიბო „მაკლარენის“ პილოტმა **ჯენსონ ბატონმა** კომენტარი გაუკეთა თავისი გუნდის გამოსვლას სეზონის სტარტზე.

*„შესაძლოა, უცხო თვალისთვის შეუმჩნეველია, მაგრამ ჩვენ ვპროგრესირებთ, - ამბობს ბრიტანელი პილოტი. - სეზონის პირველ რბოლაში მართლაც რთული გასაგები იყო, რატომ ვიყავით აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიანები. დრო დაგვჭირდა იმისთვის, რომ რამდენიმე ნაბიჯი გადაგვედგა წინ. ეს უკვე ბარსელონაში დაიწყო, შემდეგ მონაკოში გაგრძელდა. მონტე კარლოში მცირე ტექნიკურმა პრობლემამ არ მოგვცა ჩვენი პოტენციალის სრულად გამოვლენის საშუალება. შეგვეძლო პირველ ხუთეულში მოვხვედრილიყავით. მონრეალში გვქონდა ტექნიკური განახლებები, ზოგიერთმა იმუშავა, ზოგიერთმა - არა. მაგრამ, როგორც ჩანს, წარმატებებს ვაღწევთ. პროგრესის ტემპი ისეთი სწრაფი არ არის, როგორც ვისურვებდით, მაგრამ ეს რთულია დღევანდელ ფორმულა 1-ში. იოლი არ არის „რედ ბულისა“ და „ფერარის“ დაწევა“.*

■ ■ ■

ამასობაში, ბრიტანულმა საბუკმეიკერო კანტორამ William Hill- მა ჩემპიონობაზე ახალი კოეფიციენტები გამოაქვეყნა.

წელს, იტალიურმა საჯინიბო „ფერარიმ“ ჩემპიონატი უფრო კონკურენტუნარიანი მანქანით დაიწყო, ვიდრე 2012 წელს, მაგრამ, თუ შარშან, „სკუდერიას“ წევრი **ფერნანდო ალონსო** შვიდი ეტაპის შემდეგ ერთი ქულით უსწრებდა **სებასტიან ფეტელს**, ახლა, ესპანელი გერმანელს 36 ქულით ჩამორჩება.

ამჟამად, პირად პირველობაზე გამარჯვებისთვის ფსონები ასე გამოიყურება:

**სებასტიან ფეტელი - 1.40**
**ფერნანდო ალონსო - 4.00**
**კიმი რაიკონენი - 15.00**
**ლუის ჰემილტონი - 21.00**
**ნიკო როსბერგი - 67.00**
**მარკ უებერი - 126.00**
**ჯენსონ ბატონი - 301.00**
**ფელიპე მასა - 501.00**



სებასტიან ფეტელი

# ჰორნერი ბრიტანეთის ოფიცერია



კრისტიან ჰორნერი

„რედ ბულის“ ხელმძღვანელმა **კრისტიან ჰორნერმა** ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის ჩინი (OBE-ის ხარისხი) მიიღო. ავსტრიულ საჯინიბოში ის მეორე წევრია, ვისაც ამგვარი პატივი ხვდა წილად. მანამდე, ბრიტანეთის იმპერიის ოფიცერი გახდა „რედ ბულის“ ტექნიკური დეპარტამენტის შეფი **ედრიან ნიუი**, რომელმაც ეს სტატუსი 2012 წლის ბოლოს გამართულ დაჯილდოვებაზე მიიღო.

*„ეს დაუჯერებელი სიურპრიზი იყო ჩემთვის - განცვიფრებული ვარ. ჩემთვის დიდი პატივი და პრივილეგიაა ვიყო იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი ქვეყნისთვის“*, - განაცხადა ჰორნერმა.

ფორმულა 1-ის სამყაროდან OBE-ის ხარისხი გააჩნიათ: **როს ბრაუნს, ნაიჯელ მენსელს, დეიმონ ჰილს, სტირლინგ მოსს, ჯიმ კლარკს, ედი ჯორდანსა** და სხვებს...

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლორენსოს ზედიზედ მეორე

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მეექვსე ეტაპს ბარსელონამ უმასპინძლა - გათამაშდა კატალონიის გრანპრი. ამ რბოლამ ნეიტრალურ მაყურებელსა და „ჰონდას“ გულშემატკივრებს იმედგაცრუება მოუტანა. ზედიზედ მეორე რბოლაა „ჰონდა“ ახერხებს კვალიფიკაციის მოგებას, მაგრამ რბოლაში თმობს პოზიციებს, რაც შეეხება ნეიტრალური გულშემატკივრების იმედგაცრუებას, საქმე ისაა, რომ სტარტს თუ არ ჩავთვლით, გუშინდელ ეტაპზე ბრძოლა ფაქტობრივად არ ყოფილა.

პოულის მფლობელი „ჰონდას“ პილოტი, საერთო ჩათვლის ლიდერი **დანი პედროსა** იყო, მაგრამ პირველი მეტრებიდან ყურადღება არა მისკენ, არამედ **ლორენსოსა** და **მარკესისკენ** იყო მიპყრობილი: ხორხე ლიდერი გახდა, მარკი კი მეექვსე პოზიციიდან მესამეზე გადავიდა. მეორე წრისთვის პილოტები ასეთი თანმიმდევრობით მოძრაობდნენ: ლორენსო, პედროსა, მარკესი, **კრატჩლოუ, როსი, ბრადლი...**

პირველი ხუთეული საკმაოდ მჭიდროდ მოძრაობდა, თუმცა პილოტები დიდად არ აქტიურობდნენ და არ ცდილობდნენ ყოველ მოსახვევში შეტევას. მეექვსე წრეზე ამ ხუთეულს გამოაკლდა კრატჩლოუ, რომელმაც მარტივ სიტუაციაში ლოუსაიდი დაიჭირა. ასე ჩამოყალიბდა პირველი სამეული, რომელიც შეადგინეს ლორენსომ, პედროსამ და მარკესმა. ვალენტინო როსიმ მხარი ვერ აუბა დაწინაურებულთა ტემპს.

ამ სამეულს პოდიუმზე ადგილები უნდა გაენაწილებინა, მაგრამ მაყურებლისთვის სამწუხაროდ, ესპანური ტრიო საკმაოდ ფრთხილად მოძრაობდა და რისკზე არ მიდიოდა. ბოლოსკენ მარკესმა სცადა სიტუაციის გამწვავება, მაგრამ მისი გამოცდილი მეწყვილე მაინც წინ დარჩა. საბოლოოდ, ყველაფერი ასე დასრულდა: ლორენსო, პედროსა, მარკესი...

ხორხემ ზედიზედ მეორე რბოლა მოიგო და შვიდ ქულამდე დაიყვანა გენერალურ კლასიფიკაციაში ლორენსოსთან ჩამორჩენა.

**კატალონიის გრანპრი**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 25 წრე; 2. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - +1,763; 3. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - +1,826; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +5,874; 5. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - +26,756; 6. **ბრედლი სმიტი** (ბრიტ, Yamaha) - +32,228; 7. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - +32,692; 8. **ალეშ ესპარგარო** (ესპ, ART) - +58,615...

**საერთო ჩათვლა**

1. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 123 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 116; 3. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 93; 4. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - 71; 5. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 60; 6. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - 59; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, Ducati) - 45; 8. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - 41...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ხორხე ლორენსო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21)**, **გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:45. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით დაბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს **„გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**